

თავისუფლება



825
1976

ტრიბუნა

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო
საზედამცემო კოლმები: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქვეთარაძე, გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

N° 14-15 — PARIS — DÉCEMBRE 1976 კარიჭი, დემემბერი 1976 N° 14-15

ბ ი ლ ო ც ა ვ თ ბ ა მ ა რ ჯ ვ ი ბ ი ს 1 9 7 7 წ ე ლ ს .



ი ვ ა ნ თ ჯ ა ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

1876 — 1976



1. ივანე ჯავახიშვილი
მიხეილ ქავთარაძე.
4. მუქარა ქართული ენის მიმართ.
მოწინავე.
6. მწერალ რევზ ჯაფარიძის სიტყვა.
სტენოგრაფიული ჩანაწერი.
7. მწარალ რევზ ჯაფარიძის საქმე.
დავით ურატაძე. . .
8. საქართველო დღეს.
კოტე ნადირაშვილი.
სამართაშორისო ამბები
9. მას გარდაცვალება.
11. ამერიკის ახალი პრეზიდენტი — ჯიმი კარტერი.
გიორგი ქართველი.
12. უნგრეთის რევოლუციის ოცი წლისთავი.
გ. შამგალი.
14. სოლენიკინი და დემოკრატია.
გ. წერეთელი.
ალამიანები და წიგნები
19. გიორგი ნოზაძის იუბილე.
19. ელენ კარრერ დანკოს — ზურაბიშვილი.
გ. ქართველი.
20. დავით და მერცხლ ბაზოვები.
მ. ქავთარაძე.
სამბლომირი
20. † ნიკოლოზ თოხაძე. ერთი წლისთავზე.
ირაკლი ჯაფარიძე.
21. † სიმონ კობიაშვილის ხსოვნას. ნეკროლოგი.
გიორგი ნაკაშიძე.
22. † გრიგოლ უჩაძე. ნეკროლოგი.
ნამეტია გოგუაძისა.
23. † ლილი გეგელაშვილი - პაპე. ნეკროლოგი.
კარლო ინსაჩიძე.
24. სამგლოვიარო.
25. ოქროს საწმისი. ლექსები.
26. მტრების მეგობრობა. (ნოველა.)
† კონსტანტინე გამსახურდია.
32. ჩენი ფონდი.

კრედიტის მისამართი:
 Directeur : G. TSERETELI
 8, Rue des Marchais
 75019 PARIS

ჩინანი ჯავახიშვილი

დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო

დიდი მამულოშვილი ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წელს სოფ. ხოვლეში. საშუალო განათლება მიიღო ტფილისის პირველ გიმნაზიაში — სასწავლებელი, სადაც მასზე ადრე სწავლობდნენ ილია და ბარათაშვილი. უმაღლესი განათლების მისაღებად ჩაეწერა პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავ. ენათა ფაკულტეტზე, რომლის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ იგი უნივერსიტეტში დატოვებს მეცნიერულ მუშაობის გასაგრძელებლად, სადაც იგი 1917 წლის რევოლუციამდე დარჩა.

ივ. ჯავახიშვილმა სტუდენტობის დროსვე გამოიჩინა ის განსაკუთრებული თვისებები რომელნიც მომავალ დიდი მეცნიერის წარმოშობას აუწყებდნენ: მან, მესამე კურსის სტუდენტმა, დასწერა თავისი ცნობილი გამოკვლევა წმ. ნინოსა და ანდრია მოციქულის შესახებ, რისთვისაც ოქროს მედალით იქმნა დაჯილდოვებული. ამ გამოკვლევის ავტორში უკვე ჩანდა მისი ღრმა მეცნიერული ალღო, მეთოდო, მიუღვამოლობა და გამბედაობა. ამ თვისებათა ერთგული დარჩა იგი ბოლომდე.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ასე დიდი არ იქნებოდა, რომ ყველაფერზე უწინარეს დიდი პატრიოტი არ ყოფილიყო. მეცნიერობაც არის და მეცნიერობაც: ივანე ჯავახიშვილმა თავისი თავი საქართველოსთვის გაზარდა და განათლება მიიღო იმისთვის რომ, რაც უმაღალითა შრომათი შეიძინა, მისი მამულისთვის მიეძღვნა. ქართული ისტორიის მეცნიერულ ფუძეზე დაყრდნობით, მისი ქვეყნის კულტურისათვის აუცილებელი და უძვირფასესი მოქმედებით მოქმანა. ეს საქმე მან ბრწყინვალეთ ასრულა.

ივანე ჯავახიშვილის შრომები როგორც მოცულობით აგრეთვე დარგობრივი სიმრავლითაც გრანდიოზულია. მისი „ქართველი ერის ისტორია“ გვერდით, მის შრომათა სავანს შეადგენდა: ქართული ისტორიული გეოგრაფია; ქართული საისტორიო მწერლობა; ქართული წყაროთმცოდნეობა; ქართულ - კავკასიური ენათმეცნიერება; ქართული სამართლის ისტორია; ქართული მუსიკის ისტორია; ქართული ეთნოგრაფია; საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქართული პალეოგრაფია და ეს სია სრული არ არის.

ივანე ჯავახიშვილი დამაარსებელია ქართული უნივერსიტეტისა და საყურადღებოა, რომ ამ საქმისთვის მუშაობა მას უკვე პირველი ომის წინ დაუწყია პეტროგრადში ყოფნისას და პრაქტიკული ნაბიჯები გადაუდგამს — იმით, რომ რუსეთში თუ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტთა შორის ანექტები დაუფუხავნია, რომ მათი რიცხვი და დარგობრივი განაწილება გამოერკვია. ანექტას დადებითი და გამამხნეველი ჩვენება მოუტია და

როგორც კი ამ საქმის განხორციელების უფლებბრივი საშუალება მოეძებნა ტფილისის უნივერსიტეტი დაარსებულ იქმნა. „ამ ოცნების სინამდვილედ ქვეყნურად ხელდასაშობა ილია ჯავახიშვილის ეროვნული აღორძინების საქმის გაგრძელებელს ივანე ჯავახიშვილს“ — ამბობს აკადემიკოსი შანიძე.

და დღეს, თუ ქართველი წარუტლისკენ ვახივადვს და ჩვენნი ხანგრძლივი ისტორიის შველგობაში გამოარჩეულად მყოფ ქართველ მოღვაწეებს მოიგონებთ, ივანე ჯავახიშვილის ბუმბერაზულ სიმალის იქით ორ მწვერვალს, ილია ჯავახიშვილს და ძალიან შორს დავით აღმაშენებელს დაინახავს.

ეს სიტყვები ცარიელ პოეტურ-მხატვრულ შადარების პრეტენზიის ქონვე გამოთქმას არ წარმოადგენენ. ამ სამ გიგანტს შორის არსებობენ არა მარტო ის შემავაროებელი ხაზები, რომელნიც ერთი და იმავე ქვეყნის გამოარჩეულ პიროვნებებს ისტორიულად ერთიმეორესთან აკავშირებს; სხვა უფრო რეალური და ხელშესახები ძაღვებიც არსებობენ მათ შორის.

ივანე ჯავახიშვილი, ყოველმხრივ სულიერი შვილია დიდი ილიას. მან პირველმა მოკიდა ხელი, სტუდენტობის დროს, ქართული პრესის ბიბლიოგრაფიის შედგენას და ამისათვის სამუშაო მასალად ილიას „ივერია“ აიღო, რომლის სრული ბიბლიოგრაფიაც შეადგინა ათი წლის პერიოდისა 1886—1896 წლამდე. მისივე მითითებით წაუკითხავს გიორგი ჭუბინარას პეტროგრადის ქართული სამეცნიერო წრეში, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, მოხსენება ილიაზე, ეს მოხსენება წინაკით გამოცა ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით, რომელშიც იგი ილიას შესახებ ამბობს: „... რომლის ღვაწლი ახალი საქართველოს წინაშე განუზომელია“ — ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის აგრეთვე წიგნი სათაურით „ილია ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორია“. ამ წიგნში ივ. ჯავახიშვილი აღტაცებას გამოთქამს ილია ჯავახიშვილის ისტორიულ კონცეპციის გამო და ილიას მიიჩნევს ქართულ ისტორიაში კრიტიკულ მეთოდის შემომდებელად, და ამბობს: „საქართველოს ისტორიაშიც მას (ილიას), ისეთი ღვაწლი ჰქონდა, რომლის დაეციყების უფლება არც ერთ ქართველს არა აქვს“ — ო.

დავით აღმაშენებელი, ცხადია, ილიასა და ივ. ჯავახიშვილსაც საქართველოს უდიდეს პიროვნებად მიიჩნდათ, მაგრამ საყურადღებო ის არის რომ დავითის სიდიდის საჩვენებლად, ჯავახიშვილი ილიას შეხედულებას უწყებს ანგარიშს და ამბობს: „ილია ჯავახიშვილს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაშრომებში მარტო პოლიტიკური მხარე კი არა, მათი კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავ-



წინა ნომერში, მწერალ რევაზ ჯაფარიძის სიტყვის, მხოლოდ მოკლე შინაარსი დაბეჭდვით. ამ სიტყვაში აღძრული საკითხები და მათი დასაბუთება ისე სერიოზული და აღმნიშვნელოვანია, რომ ის ყველა ქართველს უნდა არაერთხელ წაიკითხოს და ჩაუფიქრდეს, ამიტომ მისი სრული ტექსტის გამოქვეყნება საქართველოსთვის დაინახეთ. ეს სიტყვა 23 აპრილს იყო წარმოთქმული საქ. მწერალთა კავშირის ყროლოზაზე, მაგრამ საქართველოს ოფიციალურ პრესას, რადიოს და ტელეხედვას ჯერაც არაფერი უთქვამთ ამის თაობაზე. ალბათ არც აწი იტყვიან. მათი მოვალეობა ხომ ინფორმაციის მიწოდება არ არის, არამედ ხელისუფლების სასარგებლო პროპაგანდა. სამაგიეროდ რ. ჯაფარიძის წინააღმდეგი კამპანიის ორგენზრაცია უკვე გამოქვეყნდა ივლისში საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. გამოსულმა ორატორებმა — მანთუშვილმა და ენუქიძემ — მწერალ რევაზ ჯაფარიძეს ბრალი დასდევს „არ არსებულ საკითხებიდან, რაღაც პრობლემების შექმნაში“. არარსებული საკითხები? მაგრამ რ. ჯაფარიძის მგობ ორატორებს არ უთქვამთ, არ არსებული იყოს ფაქტი, რომ „მიმდინარე სამოსწავლო წელში გვევით ვათვალის-

წინებულთა, რომ პრაქტიკაში შემოღებულმა რევაზ რევაზიძის საგნების სწავლება რუსულ ენაზე, რისთვისაც ვათვალისწინებულა წამყვანი რუსი სპეციალისტების მოწვევა“.

შეუძლებელია უარყოფილი იყოს, რომ არსებობს საბჭოთა კავშირის უმაღლეს და საშუალო სპეციალისტების მინისტრის, ელიუტინის ბრძანება: „უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოები უნდა გამოიცეს რუსულ ენაზე“. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ არსებობს უმაღლესი ორგანოების დადგენილება: „დისერტაციები (იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ისინი ენებიან ქართულ ზმნას), პუბლიკაციები დისერტაციებზე და სწავლულთა საბჭოების სხდომების სტენოგრაფები უნდა წარედგინოს მოსკოვს რუსულ თარგმანში“. არავის არ უთქვია, რომ მონაწიერი იყოს ის ფაქტი, რომ 10 ინვარს, მოსკოვის „უნიტელსკაია გაზეტაში“ დაბეჭდა საქართველოს მაშინდელი განათლების მინისტრის თამარ ლაშქარაშვილის (ამჟამად ის გადაყვანილია საქ. უმაღლეს საბჭოს მდივნად) სტატია „გამოუღველი რეზერვები“, სადაც ნათქვამია: „წელს ზუგდიდის საშუალო სკოლაში, მეხუთე კლასიდან, მთელ რიგ საგნებში სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე და ამ ცდამ საუც-

დაო“. და კიდევ დავით აღმაშენებლის აჩრდილი დასცქირდა ქართული უნივერსიტეტის გახსნასაც, რადგან მისი თარიღი ივ. ჯავახიშვილს, დ. აღმაშენებლის სახელის მოხსენების დღესთან, 26 იანვართან შეუთავსებია.

უდიდესი იყო ის ავტორიტეტი და პატივისცემა, რომელიც ივ. ჯავახიშვილს ქართულ საზოგადოებაში ჰქონდა. და როდესაც კომუნისტებმა იგი უნივერსიტეტის რექტორობიდან გადააყენეს, კარვად იცოდენ რასაც შერეოდნენ. რადგან უნივერსიტეტიდან უნდა გამოსულიყვნენ ის კადრები, რომლებსაც ძალაუფლებად ხელისუფლებამ უნდა დაყრდნობოდა, ხოლო ამ უნივერსიტეტის მეთაური იყო კაცი, რომელიც, ბარათაშვილის გამოთქმის პარაფრაზა რომ ვიხსნათ: „საბჭოთა ხელმწიფებებს ქართველთა შორის ძალას ართმევდა“.

როგორც გვხვდათ ამ შემთხვევაში წმინდა კულტურულ მოღვაწეს თითქმის პოლიტიკური მნიშვნელობა და როლი აქვს მინიჭებული.

ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის. ქართულ ისტორიულ სინამდვილეში, ქართული კულტურული დარგის და პოლიტიკური დარგის ხედვებით წონის ურთიერთმეფარება განსაკუთრებულ ხასიათისა ჩანს. ჩვენში, კულტურას ძალიან ხშირად წინდაწინ მოუშვადებია ნიადაგი, რომელზედაც შემდეგ პოლიტიკა დაშენებულა. ასევე, პოლიტიკის უძღურების პერიოდში კულტურას გააღურჩენია ის რის გადარჩენაც შეიძლებოდა და საქართვე-

„სწავლულობას“ ჩვენში განსაკუთრებული პატივისცემა ახლავს ხოლმე. ხელმწიფის კარის განრიგების ტექსტიდან ეტყობილობთ რომ მეფის დაბარბაზობის ცერემონიაში მეფის უახლოეს ადგილზე ჯდობა, გელათის მოძღვართ მოძღვარის პრივილეგია ყოფილა. ე. ი. მოძღვართ მოძღვარი, რომელიც; თანამედროვე ენით რომ ვთქვათ: მხოლოდ გელათის აკადემიის რექტორი იყო, მეფის კარის ეტიკეტის მიხედვით, სადარბაზო მიღების დროს, ყველა ვეზირზე უფრო საპატიო ადგილას მეჯდარა. ასეთსავე ტიტულაციას ამჟღავნებს ის ფაქტი რომ საქართველოს ძლიერების დროის პირველ ვეზირს ჰყონდიდელისა და მიწიანობართ უხუცესის ტიტულები ჰქონდა — ტიტულები, რომელნიც ორივენი კულტურულ სფეროს მიეკუთვნებიან.

ქართულ საზოგადოებაში ეს ტრადიცია, ეტყობა, ჩვევაში არის გადასული და დღევანდელ რიგთა ქართველს, კულტურის პატივისცემა შეუცნობელადაც ახასიათებს.

ქართველებისათვის ივანე ჯავახიშვილი იყო მოძღვართ მოძღვარი და ვინაიდან ძალით გამეფებულ ხელისუფალთა ქართველი არ ცნობდა, მოძღვართ მოძღვარი მიანდა მას ქვეყნის პირველ კაცად და ქვეყნის სინდისის და გონების განსახიერებად. და მართლაც ასეთია დიდი ივანე ჯავახიშვილი.

მიხეილ ქავთარაძე.

ხოლო შედეგი გამოიღო რუსული ენის შესწავლის საქმეში.“

ერთ სიტყვით, რვეზ ჯაფარიძის მიერ მოყვანილი არც ერთი ფაქტი არაიქნა უარყოფილი; მათი უარყოფა შეუძლებელია, რადგანაც ფაქტები ჯიუტები არიან.

შესაძლებელია მხოლოდ, რომ ეს ღონისძიებები გაუქმდეს და მით შეწყვედეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ქართული ენის შევიწროების ცდები. მაგრამ, ამის მაგივრად, მანეთიაშვილ-სენუქიძეების გამოხატომები მოწმობენ წინააღმდეგს: დაწყებულია მწერალ რვეზ ჯაფარიძის დაშინების კამპანია, და მით ყველა იმათი ვინც მას მხარს უჭერს. ნოდარ წულუისციკრის და რვეზ ჯაფარიძის მიერ აღძრულ საკითხების დამალვა ქართველ ხალხისადმი ნათლად ღალატებს, რომ არსებობს შეთქმულება ქართული ენის წინააღმდეგ, და, რაც ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია, ამ შეთქმულებაში კრემლის რუს ხაზინებთან ერთად მონაწილეობს ქართველი სისხლის ადამიანები, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელებიც, და პირველ რიგში ელუარდ შეგარდნაძე. სწორედ ეს ფაქტი იწვევს დიდ საშინორობას. ეს უკარნახებს ყველას, ვისთვისაც ქართული ენა და საერთო ქართველობა სიცოცხლის აზრი და სავანია, იყოს ფიზიკური, იყოს შეურიგებელი. თავიდანვე ამხილოს და არ შეურიგდეს საქართველოს გარუსების მზაკრულ ცდებს.

არ უნდა დაივიწყოთ:

არ ყოფილიყვნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებმაც დამოუკიდებელ საქართველოს უღალატეს და მტერს შემოუღვევნენ. ან ზღაგაშლილი შეეგებნენ, ლენინის რუსეთი, 1921 წლის თებერვალში, საქართველოს დაპყრობას ვერ გაბედავდა. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ქართველ ბოლშევიკების არსებობამ შეაძლევს საბჭოთა რუსეთის მთავრობას, საერთაშორისო არენაზე, პილატესთან ხელი დაეხანა, საქართველოს, ქართველი ხალხის ჯვარცმა, შინაურ, ქართულ საქმედ გამოეცხადებოდა. წითელი რუსული არმიის ხიშტობიან ერთად, ქართველ ბოლშევიკებმაც წილი დაიდევს ქართულ სახელმწიფოს დამხობაში. მათი ღალატის გარეშე შესაძლებელია: საქართველოს თვითხელმწიფებება შენარჩინებულე ყოფილიყო, დღეს ის ყოფილიყო სრულყოფილებიანი წვერი მსოფლიო სუვერენ ერთა დიდი ოჯახის, თავიდან აცილებული ყოფილიყო 1921—1938 წლების პოლიტიკური რბრესიებით გამოწვეული მსხვერპლი, 1941—45 წლების მსოფლიო ომის სასაკლაო, ნაცონალიზაციის და კოლექტივიზაციის მხეტური ნაკარბა, რომლის შედეგადაც 55 წლის განმავლობაში ის განიცდიდა სურსათის და სამომხმარებლო საქონლის ნაკლებობას, დღეს ქართველები ყოფილიყავით ორჯერ უფრო მრავალრიცხოვანი, წელში გამართული, შეძლებული და

ამაყი, საბოლოოდ განთავისუფლებული მოზიქნებელი კომპლექსისაგან.

ენობილია: მაშინდელ ბოლშევიკ-ქართველებს ლენინისტალების რეჟიმმა აზღვევინა მშობელ ქვეყნის ღალატი. მის შემდეგ მრავალმა წყალობა ჩაიარა მოსკოვას და მტკერის ხიდების თაღების ქვეშ. კრემლი ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად ახორციელებს თავის ერთა ათქვეფის და ერთ რუსულ ერად გადაქცევის პოლიტიკას. დღეს ქართველები ვიმყოფებით უაღრესად კრიტიკულ მომენტში და უნდა ვთქვათ: ჩვენი უნდაღრუბა მარტო ის კი არ არის, რომ კრემლს, რუსს, ჩვენი დაღლებუვა გადაუწყვეტა, არმედ უფრო მეტად ის რომ, ისინი ყოველთვის პოულობდნენ და დღესაც მრავალე პოულობენ ჩვენსავე სისხლხორცთა შორის ამ კრიმინალური საქმის თანამზარახელებს, მონაწილეებს, ამსრულებლებს. თუ ასე ვაგრძელებდა საბოლოოდ ვერაფერი ვერ გვიხსნის ეროვნული გაქრობისაგან — გარუსებისაგან. საჭიროა გადაამტკრლო ომი გამოეცხადოს ამ მიღრეკილებას. სამარცხენო ბოძზე უნდა გაიკარას ყველა ქართველი, რომელიც თავისი ღაჩრობით, პირადი სარგებლიანობის, ან განდიღების მიზნით ქართველ ერის ინტერესებს, მის ენას ღალატობს.

ამავე დროს, ზელი უნდა გავუწოდოთ და სწორ ეროვნულ გზაზე უნდა გამოვიყვანოთ, ნახევარ საუკუნის სიცრუით დაბნეული, იდიოლოგიურ ლაბირინთში მოხეტიალე გულწრფელი ქართველები. მათ უნდა შეიგნონ, რომ იდიოლოგიები და პარტიები ერის უკეთ მომსახურებისათვის იქმნებიან და არა პირიქით. როცა ესა თუ ის იდიოლოგია, ან პარტია ერის მოსაზობას, მის გადაშენებას ან გადაჯიშებას ემსახურება, განა სამარცხენო არ არის შეგნებული მოქალაქე ამ პარტიის წევრი იყოს, მის ბრძანებებს ასრულებდეს?!

განა ისტორიული პარადოქსი არ არის ნოდარ წულუისციკრისთან და რვეზ ჯაფარიძისთან გულშეუხრავალე მამულიშვილები მკვრდში მუშტს იცემდნენ და მათ კომუნისტობაზე ღალადობდნენ?!

დროა დაეტოვოთ აღმოსავლურ პირმოთნეობის ჩვეული ბილიკები, გამოვიდეთ კაცური კაცობის ვაშლილ შარაზე. მტერმაც და მოყვარემაც უნდა იცოდეს რა გვესრს და რა არა, რა გვიყვარს და რა არა, რის დათმობა შეგვიძლია და რის არა; არც მტერს, არც მოყვარეს ექვი არ უნდა შეეპაროთ ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებაში: არაფრით არ დათმობთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცამთ ჩვენს დედაენას. არაიქნა მიცემით ნებას რუსთაველის ენის დაბრყვიებისას.

მწერალ რევა ჯაფარიძის სიტყვა.

(წარმოთქმული საქ. მწერალთა მე-8 ყრილობაზე, დგას დღეს რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემა ქართველ მწერალთა წინაშე? დიახ, ჩვენ წინაშე დგას მრავალი პრობლემა. ამ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველხარისხოვანია, თუ არ ვცდებით, და მეორე არ ვცდებით, ქართული ენის მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ქართული ენა, რომლის განმარტებითი ლექსიკონი შედგება რვა ვებერთელა ტომისაგან და რომელზეც დიწერა „ვეფხისტყაოსანი, არ წარმოადგენს მხოლოდ ლიტერატურის საკუთრებას. იგი ეკუთვნის მთელ ქართველ ხალხს — გლეხობას, მუშებსა და ინტელიჯენციას. თუ გავიხსენებთ ნაციის მარქსისტულ განსაზღვრას, ენა პირიქელ ყოვლისა გამოყვანილია, როგორც ერის უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისება. ენის გარეშე არ არსებობს ნაცია. ჩვენმა პოეტმა ეს სწორად გამოთქვა: ვივიწყებთ ენას, ქრება ნაციაც.

ეს რთული პრობლემაა. ენასთან ზუმრობა არ შეიძლება! ინაში გამოსახულია ხალხის სული, მისი წარსული და აწმყო. მისი დამახასიათებელი თვისებები.

ვეფხისტყაილი იქნება ფიქტივ კი იმაზე, რომ ამა თუ იმ ენის ინტერესთა იგნორირება თითქოს არ წარმოადგენს დანაშაულს ამ ენის მატარებლის წინაშე. ამიტომ, დიდი ღონინი მუდამ ყურადღებით ეკიდებოდა დიდი თუ პატარა ირების ენებს და მიუტოვებელი დანაშაულად თაოლდა ნობისმიირი ხალხის პრიტინზიებს უპირატესობაზე. ღონინი პირდაპირ აცხადებდა: „აბსოლუტურად არაიათარი პრივილეგია არც ერთ ხალხს, არც ერთ ენას“ (ტომი 20, გვ. 7).

რაჭომ ეღაპარაობ ამოღადირ ამაზე? ვითომ მხოლოდ იმრაომ, რომ საქიროდ მიმანია კვლავ შვიჯხო ასით მტაიონოლ საითხს და დამოიჯრანო იგი მჰის სინათლოაზე? იმიტომ. მეგობრებო, რომ ემომბ, ზოჯი სახლომწიოთი მოლოაწის არასამარის კომინტრინტობას ენის საითხში შიოძლია წყლის ამოიჯრა და უხვი საკვიბის მიკობი ჩიენი სისტემის მტარბისთათის საზღოარგაროდ. მარამ არა მარტო საზღოარგაროდ! მტარბი და არაიათოლმოსტრინი სახლომჯ. ე. ი. საქართველოშიც სამარასოთ აჯაფის, რა მტრნის არ თინდა ისახაინინ ჩიენი შინაორი და გარეში მტარბი. ისინი ჩიენს წინააღმოთი იანინინ აჯოლა საშოალიბობს, რათა ხალხში დათოსონ უმთავოთობის მარცველი. გავიხსენოთ ზოჯი ნათოლო მთავოთობი.

1976 წლის ათ იანვარს, „უჩიტროსკაია გაზეტაში“ დამოქაიანბოლ იქნა საქ. დანათობის მინისტრის, ამხანა თამარ ლაშქარაშვილის სტარტა — „დამოლოლოჯილი რიტორიბი“. რომილოჯი მინისტრი იხიბა რა რუსული ენის სწოალიბის საკითხს წართოლ სკოლიბში, სიტყვა-სიტყვით წერს: „სანტერესო მუშაობა წარმოებს

ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატში საქ. ისტორიის, გეოგრაფიის და ფიზკულტურის განყოფილები ტარდება რუსულ ენაზე უკვე მეხუთე კლასიდან. ბავშვებმა ერთი წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს რუსული ენის შესწავლაში“.

გახოთოლ სწორად დამიგოთ. ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოში ვილატებს, ჩემის ჩათვლით. დამოდის რუსული ენის სწავლის წინააღმდეგ. პირიქით, და ათასჯერ პირიქით. მაგრამ რისკენ მოვეწოდებს ამხ. ლაშქარაშვილი? ზემომოყვანილი სიტყვებით, იგი ადასტურებს, რომ ქართველ ბავშვებისათვის შეუძლებელია რუსული ენის სწავლება. თუ ისინი უკვე მეხუთე კლასიდან უარს არ იტყვიან მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლებაზე. რაკი ბავშვებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ზუგდიდის სკოლაში, რა დასკვნა უნდა დამოიჯრანოთ აქედან? ერთადერთი ლოჯიკური დასკვნაა: ზუგდიდის სკოლის დამოცილება შემოღებულ უნდა იქნას საქართველოს სხვა სკოლებშიც და ამით ქართული ენა თანდათანობით უნდა გაქრეს ქართული სკოლებიდან!

და ამისაკენ მოვეწოდებს არა რომელიმე პირი, არამედ თვით საქართველოს განათლების მინისტრი და თან მისი წერილი იბეჭდება მოსკოვის „უჩიტელესკაია გაზეტაში“.

მე არ მინდა პოლიტიკური დასკვნების დამოტანა ლაშქარაშვილის სტატიიდან, რადგან ამგვარი საქციელის პოლიტიკური შეფასება მოიპოვება ლენინის შრომებში. ხილო თქვენს ყურადღებას მივაპყრობ სხვა არასასურველ ფაქტზე.

მიმდინარე წლის 8 თებერლის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ დამოქვეყნდა ოფიციალური დოკუმენტი — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალისტური ვალდებულებანი 1976 წლისათვის“. რომელიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „პრაქტიკაში შემოღებული იქნება რიგი საგნების სწავლება რუსულ ენაზე, რისთვისაც გათვალისწინებულია წამყვანი რუსი სპეციალისტების მოწვევა“. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ უძველესმა ქართულმა ენამ, ხან იღადმა და მრისხანემ, ხან ნახზმა და დახვეწილმა, განსაკუთრებით მდიდარმა თავისი ლექსიკური ფონდით, არ გაამართლა თავისი თავი და აი, დადგა დრო, როცა უნდა გამოეეთხოვოთ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს, თბილისის უნივერსიტეტს, რომელიც დაარსდა ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოვლით. მეგობრებო, თბილისში არა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ეს იდეა არახალია. იგი, რაღაც სუბიექტური მიზეზების ძალით, ეკუთვნის ნიკო მარს და დროებითი მთავრობის პრემიერს კერენსკის. ნუ დავიწვევებთ ისტორიას, ზოჯჯერ მეტად სასარგებლოა მისი გახსენება. იგივე ნიკო მარი ამბობდა: „ქართულ ენას ძალუძს ყველაფერის დამოქმნა, რაც შეიძლება დამიანმა დამოქმნას მსოფლიოს რომელიმე ენაზე. ქართული ენა,



თავის შინაგანი თავისებურებით, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს საერთაშორისო ენას“-ო.

გასულ წელს, საქართველოს სათანადო ორგანოებმა მოსკოვიდან მიიღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეცანათლების მინისტრის -- ელიუტინის ბრძანება, რომლის მიხედვით უნდა უმაღლესი სსსრკ-ის სახელმძღვანელოები ყვნდა გამოიცეს რუსულ ენაზე. დაშვებულია ზოგი გამიანაკლისი მოსკოვის კონტროლისა და ნებართვის .შემდეგ. ამ კანონის ძალით უკვე გაუქმდა ქართველ სწავლულთა მთელი რიგი ორიგინალური სახელმძღვანელო.

არ ვიცი ვინ დგას ელიუტინის ზურგს უკან. მაღალი ინსტანციების დადგენილების თანახმად, ქონსერვატორები (იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი ეხებიან ღირსეულ ზნას), პუბლიცისტები დისერტაციებზე და თვით სწავლულთა საბჭოს სხდომების სტენოგრაფები მოსკოვს უნდა წარედგინოს რუსულ თარგმანში, ხოლო თვით დისერტაციის დაცვის პროცედურა შეიძლება ჩატარდეს მშობლიურ ენაზე მხოლოდ ოპონენტებისა და სწავლულთა საბჭოს წევრების თანხმობის შემთხვევაში.

უკანონო და მეტად საშუუხაროც არა მარტო ის გარემოება, რომ მსგავსი დადგენილებანი არ შეესაბამება ლენინიზმის სტრატეგიას, არამედ ისიც, რომ ასეთი მოვლენები, საშუუხაროდ, მრავალ ადამიანს არც კი აკვირებს, ბევრს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია, ყველაფერ ამის შესახებ ვლადიმერ იმენდა, რამდენადც ამაზე ლაპარაკი შემიძლია. სად უნდა გამოთქვა ჩემი აზრი, თუ არა აქ? სად უნდა ვიპოვო უფრო მაღალი ტრიბუნა, უფრო კომპეტენტური და უფლებამოსილი აუდიტორია? მეგობრებო, უმოქმედება ბოროტებაა, ბოროტებაა, როცა ვსდუმვართ და ჩვენს შეშფოთებანს გულში ვინახავთ

ახლა კი გავხსნათ ლენინის ტომი: „შოვინიზმის არგუმენტები შორს საქმბარი როდია... ეს არგუმენტია ის, რომ თითოეული ერი დამორჩილოს ველიკორსებს. ბატონი პურიშვიკიჩიბი არ მოერიდება იმას, რომ სატენიანი აკრძალოს ის „ძაღლის ენები“, რომლებზეც ლაპარაკობს რუსეთის არარუსული მოსახლეობის 60%“. (ტომი 20, გვ. 70—71); ციტატები მოყვანილია ქართული გამოცემიდან რუსული თარგმანით. ლენინის შრომა „საქორია თუ არა საუალღებლო სახელმწიფო ენა?“]. ახლა თვალს გადავავლოთ ლენინის შრომას — „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“: „სახელმწიფო კანონების გამოცემა და ამ კანონების ძალით მიღებული ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს რომელიმე ხალხს — უნდა ჩაითვალოს არაკანონიერად და ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვოს კანონის დამრღვევის პასუხისგებაში მიცემა“. ამით ვათავებ.

ა/წ ივლისის ბოლო რიცხვებში ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კიდევ ერთი, მესამე პლენუმი.


როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, ამ პლენუმზე მთავარმა მომხსენებელმა და რიგით ორატორებმა ბევრი ილაპარაკეს საბჭოურ მიღწევებზე, განსაკუთრებით უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მოპოვებულ გამარჯვებებზე; აქ ჩამოაჩენები დაიფიქსეს; მითხოვეს კრიტიკისა და ავითორიტეტი გაძლიერება; იდეოლოგიური ბრძოლის მეთოდების დახვეწა; კორუპციის, პროტექციონიზმის, კარიერიზმის გადმონათობა წინააღმდეგეკარი ზომების გამოყენება და ა. შ.

პლენუმზე ხაზგასმით იქნა აკრეფილი საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, და პირადად ბრენენეის საყოველთაოდ ცნობილი ორი მითითების ისტორიული მნიშვნელობა.

პლენუმს არ წამოიყენებია არც ერთი ახალი იდეა, არც ერთი საქმიანი წინადადება თუ ღონისძიება ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გამოსანჯასალებლად. აქდენად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მუშაობა ისე გავდა წინანდელი ორი პლენუმის საქმიანობას, როგორც ერთი ქიდან ამოღებული ორი წვეთი წალი.

თუმცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მესამე პლენუმზე შეხვეწ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ არსებითად ერთ მეტად სერიოზულ საკითხს, სახელდობრ მწერალ რეზა ჯაფარიძის საქმეს. აღნიშნა რა პლენუმის ტრიბუნიდან, რომ ჩვენი ქვეყნის ინტელიგენცია „ბოზოქარი ცხოვრების, მძღავარი გამანჯასალებელი ნაკადის შეაგულში დგას“, საქართველოს კომპარტიის თბლისის ქალაქკომის პირველმა მდივანმა. მანთეთაშვილმა განაცხადა, რომ, — მომყავს სიტუცია-სიტუცით: „საყოველთაო აღმავლობის ასეთ ვითარებაში სრულიად გაუაფგებარ და აღმამფოთებელია ზოგიერთი პრივილეგიის საქციელი, რომლებიც ცდილობენ არარსებული საკითხებიდან რაღაც პრობლემები შექმნან“. და იქვე დაუმატა: „საქართველოს მწერალთა ამასწინდელ ყრლობაზე მათ საკადრისი პასუხი ვასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეუთარდ შევერდნაძემ“-ო.

თუმცა ორატორმა ვააცნო პლენუმს, და პლენუმის მუშაობის ანგარიშის გამოქვეყნებით ვახეთმა „კომუნისტმა“ ხალხს, რომ საქართველოში ყოფილან ხალხი, რომლებიც არარსებულ საკითხებშიდან რაღაც პრობლემებს ქმნიან და ამით ხელს უშლიან შევარდნაძისებურ წინსვლას, მაგრამ მას არ დაუსახელებია არც ის პირი, რომელიც ბოროტებას ჩაიდნ ქვეყნისა და ხალხის წინა-



უე და არც ის უთქვამს, თუ რაში გამოიხატება ზოგიერთების ეს ბოროტება. მანთეთაშვილმა აღნიშნა მხოლოდ, რომ მათ საკადრისი პასუხი გასცა "შევარდნაძემ საქართველოს მწერალთა მერვე ყრილობაზე, ქართველმა ხალხმა არც ის იცის თუ როგორი შენარსის იყო შევარდნადისი პასუხი.

საქართველოს მწერალთა მერვე ყრილობა ჩატარდა მიმდინარე წლის აპრილში, სახელდობრ 22—23 აპრილს. ჩვენ ვუღდასმით ვადაეთავლიერეთ ჩვენი ქვეყნის ყველა ჟურნალ-გაზეთები, დაწყებული 22 აპრილიდან და ვერცერთ მთავანში ვერ ვიპოვეთ თუგინდ იდნავი ცნობაც კი მასზედ, თუ რა მოხდა ქვეყნის მწერლების ყრილობაზე, რამაც შევარდნადისი განრისხება გამოიწვია.

ხოლო წესიერ პოლიტიკურ სისტემაში, სადაც ხელისუფლება პატივს სცემს პიროვნებებს, ხალხს, ხალხმა უნდა იცოდეს თუ რაში დებენ ბრალს ადამიანებს და პრესა რეაგირებას უნდა აკეთებდეს ყველა მომხდარ ამბებზე რა მნიშვნელობისაც სარ უნდა იყვას იგი.

საიდუმლოს ნაწილობრივ ახდა ფარა პლენუმის მეორე დღევაგატმა ენუქიძემ. „განსაკუთრებით სამწუხაროა, — განაცხადა ენუქიძემ, რომ ამ ადამიანებს ავარებული აქვთ ეროვნული ინტერესების დმცველთა ნიღაბი, ძირს უთხრიან ჩვენი ქვეყნის ხალხთა წმინდათაწმინდა ინტერნაციონალურ ძმობას და მეგობრობას, როგორც ეს რესპუბლიკის მწერალთა ყრილობაზე, ამასწინანდელ გამოსვლაში ვაკეთა მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ“.

მასწინადაც, ის „ნიღაბისანი“, რომლისათვის „საკადრისი პასუხი“ ვაუტია შევარდნაძეს, ყოფილა მწერალი რევაზ ჯაფარიძე. მაგრამ ყოველივე ის, რაც მწერალმა ჯაფარიძემ ილაპარაკა საქართველოს მწერალთა მერვე ყრილობაზე, და რა პასუხი გასცა მას შევარდნაძემ, დღესაც საიდუმლოებითა მოცული, იგი ხალხმა არ იცის.

საჭირო კი იყო, და აუცილებელიც, რომ ჩვენი ქვეყნის პრესას ჯერ გამოექვეყნებია მწერალ ჯაფარიძის სიტყვის სრული ტექსტი და შევარდნადისი პასუხი მოლინანდა, და მით ხალხისათვის მიეცათ შესაძლებლობა მსჯავრის გამოტანისა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე თვით მწერალი რავაზ ჯაფარიძე. მისგან, აღბნთ, მოელოდენ მკაცრ თვითკრიტიკას მაგრამ ჯაფარიძის ღირსიულად გჭირათაი; მან განაცხადა მხოლოდ რომ: „ჩემი მწერალთა ყრილობაზე გამოსვლის ზოგიერთი დაბულება, შესაძლოა ვადახედვას საჭიროებდეს, იგივე დებულებები, შესაძლოა დღეს სხვანაირად ჩამოემყალიბებია“. ჯაფარიძის არ უთქვამს, რომ მისი დებულებები, რომლებიც მან გამოთქვა რესპუბლიკის მწერალთა ყრილობაზე, მცდარიოა. მან თქვა მხოლოდ, რომ შესაძლოა ვადახედვას

საჭიროებდეს; შესაძლოა დღეს სხვა ფორმებში მიეჭევა იგივეო. მწერალი მტკიცედ დარჩა თავის პასუხაზე, მან მხოლოდ ტაქტიკური მანერა ვაკეთა პლენუმზე, მან ოდნავ შეარბილა მისი დებულებების ტონი. სხვაგვარად მას არც შეეძლო მოსალოდნელი რეპრესიების გამო.

მიუხედავად ამდენი განცხადებისა და ტაქტიკური აღიარებისა, ხალხისათვის მაინც საიდუმლოებითაა მოცული, თუ რამ გამოიწვია ამდენი ალიაკითი, სახელდობრ, მისთვის უცნობია როგორც ჯაფარიძის სიტყვა, ისე შევარდნადისი პასუხი რესპუბლიკის მწერალთა მერვე ყრილობაზე.

დავით ურატაძე.

საქართველო დღეს

ნაციონალური საკითხი საქართველოს ახალი პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკაში.

ს. კ. კ. პის ცენტრალური კომიტეტის 1972 წ. დადგენილებაში, თბილისის საქალაქო პარტიული კომიტეტისკ მუშაობის შესახებ, გამოიწვია რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლა და ამიერიდან მოდის ერთეული დებულები ახლი კურსის დასაწყისი. ამ დოკუმენტში საუბრობენ სხვა ერთი დებულება: „რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არ აძლევენ სათანადო მნიშვნელობას მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, განსაკუთრებით ინტელიგენციის და ახალგაზრდობისა“.

ამ წლის ივნისის თვეში, საკავშირო ცეკამ მიიღო ახალი დადგენილება, რომელშიაც იხილავს, თუ როგორ სრულდება საქართველოში ის ადრემილებული დადგენილება. ახალ დოკუმენტში ნათქვამია, რომ: „საქართველოს პარტიულში, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, აუმჯობესებენ ადამიანთა აღზრდას კომუნისტური მორალის, საბჭოთა პარტიუტუზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულსიკვეთებით“. როგორც ჩანს, სიტყვიერად მაინც პარტიული ხელმძღვანელობა ვარკვეულ ყურადღებას უთმობს ნაციონალურ დამოკიდებულების პრობლემებს, ნაციონალური საკითხის განვითარებას. ამ საკითხის თეორიულ საფუძველზე, ჩვენ ეხლა არ შევიჩერებთ თქვენს ყურადღებას. დღეს ჩვენ გვინტერესებს. თუ როგორ ანორტიკლებს პრაქტიკაში შევარდნადისი რეკიმი „ნაციონალური საკითხის ლენინურ თეორიას“. რა მიზნებს ის ისახავს და რამდენად ეს მიზნებ ქართველი ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

სულ მალე მის შემდეგ, რაც შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის სათავეში დადგა, მიღებული იქნა დად-



1976 წელში მათი ცე-ტუნგის გარდაცვალების შემდეგ, თავისი გამოხმაობებით, უძველად პირველი ადგილი უკავია.

ჩინელებს სწამთ: სამეფო დინასტიის გამოცვლას წინ უსწრებს ძლიერი მიწისძვრები. ივლისში იქ ადგილი ჰქონდა განმანადგურებელ მიწისძვრას, რომლის დროსაც 1 მილიონ კაცის მსხვერპლს ანგარიშობენ. ჩინელების ცრურწმენა თითქოს გამართლდა; 9 სექტემბერს, პეკინის ხელისუფლებამ მსოფლიოს ამერიკა-მო-წითელი იმპერატორის გარდაცვალების ამბავი. 10 დღის განმავლობაში მსოფლიოს თვალ-ყური მიმართული იყო ამ ქვეყნისაკენ. პატარა ევრანის საშუალებით, მოწმე ვიკითხე ჩინეთის მოახლოების დრამატუზმით სავსე გლოვას. ამ გლოვამ თავის ზენიტს მიაღწია 18 სექტემბერს. 15 სათ-ზე, როცა ტიან ან მენის მოედანზე შეკრებილმა ერთ მილიონმა ადამიანმა, და მათთან ერთად მთელმა ჩინეთის მოახლოებამ, სუნთქვა შესწყვიტა 5 წუთის განმავლობაში. ზარების რეკავს და ზარბაზნების ბათქა ქვეყანას აუწყა მათს ამ ქვეყნიდან გასვლის ოფიციალური ამბავი.

გამოცდილებით ვიცი: ტოტალიტარულ ქვეყნებში, საჯარო მანიფესტაციები თავისთავად და გულწრფელი არ არიან. მზიარულება, ზემი, გლოვა, წუხილი, აღშფოთება და ალტკინება ზემდგომ ორგანოების ბრძანებით ხდება; მას ასრულებენ ან შიშის ან მოვლენობის გამო. თქმა არ უნდა, არიან ადამიანები, რომლებზედაც დიქტატორების დიდი მომიზიდულობით მოქმედებენ. გავიხსენოთ ახლო წარსულიდან პიტლერის, მუსოლინის და სტალინის პიროვნებები. ასეთი ფსიქოლოგიის ადამიანებისაგან გაღმერთებას ვერც მათ აცდებოდა. არამც თუ ვერ აცდებოდა, არამედ თითონ და ჩინეთის კომპარტია ყველაფერს შერბამდნენ მათზე ლეგენდების შესაქმნელად და მათს კულტის დასამკვიდრებლად.

ერთი შეხედვით, უფრო გასაოცარი იყო თავისუფალი სამყაროს გამოხმაობრება. ყველამ, თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყნების ლიდერებმა, დაიფიქსეს ფაქტები მანიფესტების დათრუტვის, კაცობრიობის გზის მანათობელ შეჭურის და სხვა საიდებელი ეპიფეტებით.

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქვეულ მათს, ბერის ისეთ ამბავსაც აწერენ, რაშიდაც მას მონაწილეობაც არ მიუღია, ან და პირველი არ ყოფილა. ვისაც სიმართლე უყვარს და მისი გაგება წყურია, მათს შესახებ არსებულ

გენილება, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების აუცილებლობა. ამ საკითხის დაყენებამ და შემდგომში პრაქტიკულმა შესრულებამ, ნათლად გვაჩვენა, თუ როგორ ცდილობს ახალი ხელმძღვანელობა კავშირის რუსიფიკაციის პოლიტიკა საქართველოში. ერთ ერთი „მიზეზი“ და „დასაბუთება“ — რუსული ენა — ლენინის ენა არისო. კი მაგრამ თუ ჩვენ ამ მოლოკას მივყევით, მაშინ უფრო საპატივცემული გარდასთული ენა უნდა იყოს, ვინაიდან ეს მარქსისა და ენგელსის ენა გახლავთ. წარმოიდგინეთ აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს მოაძე-ღუნთან არ წაეჩხუბათ, არ აცდებოდათ სვანეთის, ან ქაზეთის ბავშვები ჩინური ენის სწავლება კი. რუსული ენის ხელოვნურმა თავდახვევამ, მისთვის უსაფუძვლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებამ, მშობლიური ენის ხარჯზე, ბუნებრივია, გამოიწვია ხალხში საწინააღმდეგო რეაქცია. და ინტერნაციონალური სტრასკვეთებით აღზრდის შედეგად, მას მოჰყვა სულ სხვა შედეგი. არა გვეგონია, რომ შევარდნაძეს არ ესმოდეს, ან მან არ იცოდეს იგივე ლენინის თეორია ნაციონალურ საკითხში, რომლის თანახმად რუსული ენა ყველა არა რუსი საბჭოთა კავშირის მოქალაქისათვის ისეთივე ენაა, როგორც სხვა დანარჩენი და მას არ გააჩნია არავითარი განსაკუთრებული პრივილეგია ან და ღირსება. თანამედროვე საქართველოში, ნაციონალური საკითხი და მისი გადაჭრა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ რუსული ენის ხელოვნურ დაწერვას. შევარდნამ და მისი პოლიტიკა ვერ მიაღწევდნენ თავიანთი მოქმედების ზემოდან მხარდაჭერას, თუ ყველაფერი მხოლოდ რუსული ენის ნაძალადევ ჩანერგვამდე იქნებოდა დაყვანილი. როდესაც მან აიღო თავისთავზე სკკპ-ის ხელმძღვანელობის დიდმპყრობელური პოლიტიკის გამტარების მოვალეობა, მან იცოდა, ან მას აუხსნეს, რომ ნაციონალური პოლიტიკის გადაჭრა მოსკოვის რეკეტირით შეუძლებელია, ფართო ეკონომიური ღონისძიებების ჩატარების გარეშე. ამიტომ, საქართველოში ხელოვნურად იშლება მრეწველობის მთელი დარგები. ეს, რა თქმა უნდა, ასი ათასობით ადამიანთა მოზიდვასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან, თვით საქართველოს ეს მუშა ძალა არ გააჩნია, ცხადია, რესპუბლიკაში ვადმოსახლება არაქართველი ნაციების მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი, ძირითადად რუსები.

ამ გვეგონის სფართე, არავითარ კავშირში არ იმყოფება არა მარტო საქართველოს სახალხო მყურნეობის განვითარების მოთხოვნილებებთან, არამედ საკავშირო ეკონომიურ ინტერესებთანაც კი. თუ რომელიმე თქვენგანს ჰქონდა შესაძლებლობა გაეცნო მოსკოვიდან დაშვებულ საქართველოს ეკონომიურ განვითარების გეგმას,

(იხ. ვაგორძელება მე-10 გვ.).



ჩენი საგაზეთო პატარა წერილი მას ცხოვრების დაწერილებით გარჩევის საშუალებას არ იძლევა, უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ზოგადი დასკვნებით.

შეუმცდრად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთა ცე-ტუნგს ჩინეთის რევოლუციის მამამთავრის სახელი არ ეკუთვნის, რადგანაც ეს ღირსება მიეკუთვნება ექიმ სუნ იატ-სენს, რომლის ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაიწყო და განვითარდა ცინგების დინასტიის (მანჯურების დინასტიად წოდებული) და უცხო სახელმწიფოების ექსპლუატაციისაგან ჩინეთის გათავისუფლების ორმაგი რევოლუცია. ხოლო სუნ იატ-სენის ბრწყინვალე თანაშემწე და სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრე იყო მარშალი ჩანგ კაი-შეი, რომელსაც საბოლოოდ დამარცხებს მთა და აიძულებს კუნძულ ფორმოზაზე გაიქცეს.

მთა ცე-ტუნგი ჩინეთის კომპარტიის ფუძემდებელიც არ არის. ამ დამსახურებას სხვებიც ბევრი ჩემობენ. უდავოა, რომ 1921 წელში, როცა ჩინეთის კომპარტიის პირველი ყრილობა შედგება, იქ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეა ჰეიენის უნივერსიტეტის პროფესორი შენ ტუ-ჰსიუ, ხოლო მთა ცე-ტუნგი მისი ერთი თორმეტ წევრთაგანი. ერთ პერიოდში (1928—30 წწ.), მთა გამორიცხულიც კი იყო კომპარტიიდან მარქსისტულ დოგმებიდან გადახრებისათვის და კომიტეტის მიითითებების შეუსრულებობისათვის. 1927 წლიდან, და უფრო მეტად 1934 წლიდან, მთის ავტორიტეტი უცვლელად გაბატონდება ჩინეთის კომუნისტურ მოძრაობაში და ამის შემდეგ სიკვდილამდე, ჩემ ბოძოლას მუდამ ჰქონდა ადგილი, მაგრამ საჯაროდ მის წინააღმდეგ გალაშქრება აღარცნის ვაუტელია.

არც ის შეესაბამება სიმართლეს, თითქოს მთა ყველაზე ჰუმანიური რევოლუციონერი ყოფილიყოს. იქნებ ჩინეთის რიცხვრავალ მოსახლეობისათვის მცირედ ჩასთვალონ, მაგრამ 1949 წლიდან, (როცა მთელ კონტინენტალურ ჩინეთში ძალაუფლება ხელში აიღო), 1955 წლამდე, თავისი ავტორიტეტის დასაფუძნებლად, მთომ ერთი მილიონი ჩინელი უსამართლოდ გაანადგურა, ხოლო...

საქართველო დღეს. (გაგრძელება).

თქვენ მაშინათვე შეამჩნევდით მასში უფრო პოლიტიკურ, ვიდრე ეკონომიურ სტრატეგიას. ამრიგად, ბოლო დადგენილებაში, რომელიც იენისში იქნა მიღებული, საბჭოთა კავშირის პარტიულ ხელმძღვანელებს აქვს გარკვეული საფუძველი სთქვას: „საქართველოში სწორედ მიღის ნაციონალური საკითხის განვითარება“-ო. რას გულისხმობს იგი და მასთან ერთად, სამწუხაროდ, შევარდნამდე ამ „სწორი განვითარებაში“, ამას კარგად ხედავს ქართველებმა, ყოველდღე ჩვენს სამშობლოში არსებულ მღწობარეობიდა.

კოტე ნადირაშვილი.

ლო 30 მილიონმა ჩინელმა „იდეოლოგიური აღზრდის“ ბანაკები გაიარა, სადაც გონის „გამორეცხვის“ მძლავრი ორიგინალური მეთოდები არსებობდნენ.

ჩინეთის ეკონომიურად აღორძინების მხრივაც მთის პიროვნება დიდით არ ბრწყინავს. თუ პატარა კუნძულ ფორმოზის ეკონომიური მიღწევების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეჭვი არ არის ჩანგ კაი-შეს, რომ გაემარჯვნა, ჩინეთი ვაცლებით უფრო ტექნიკურად განვითარებულ უფრო მდიდარი და მამასადამე, უფრო ძლიერი სახელმწიფო იქნებოდა ვიდრე ის ამჟამად, მთის სიკვდილის შემდეგ არის.

მაშ რა არიან მთის ღირსებები და დამსახურებები? მთის პიროვნება უშეკვლად ხასიათდება დიდი გულგურო სიჯიუტით, რასაც პოლიტიკურ სარბიელზე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მთა ცე-ტუნგი ბუნებით მამაცია. შეუღრაველი, ვაჭირების ამტანი და უზედურებაში გულგაუტეხელი. მისი ბუნება ზედმიწევნით შეესაბამება მის მიერ არჩეულ ფაქტორიან ცხოვრებას, რომლის დროსაც საშუალება ეძლევა მასების წინამძღოლი გამოვლინებას.

მთის ხელისუფლებამ ჩინეთს მოუტანა შედარებით ყველაზე სრული ევალიტარიზმი. მთომ გააუქმა ძველი წოდებები და კლასები, მის ადგილას ახალი პრივილეგიური კლასები არ შეუქმნია, როგორც ეს მოხდა საბჭოთა რუსეთში. საყოველთაო აღიარებით, მთის ჩინეთში მოისპო თრიაქის მხარება, ალკოჰოლიზმი, და ევნერული სნულელები. უზარმაზარ და უაღრესად ჩამორჩენილ ჩინეთისათვის, შედარებით მცირე დროში, სამედიცინო მომსახურება გახდა საყოველთაო და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ყველა ეს მიღწევები მაინც სრული არ იქნება თუ არ ვიტყვით, რომ მთის დიდი დამსახურება უფრო მეტად იმაშია, რ თ მან ჩინეთი განანთავისუფლა კრემლის გავლენისაგან. მთის ეს ნაბიჯი რომ გავეთათ, საჭიროა კარგად გაეთვალისწინოთ მისი ფსიხოლოგია. მიუხედავად იმისა რომ მთის თავი მარქსისტი ჰქონია და მამასადამე ინტერნაციონალისტი, სინამდვილეში, მთა არის დიდი ჩინელი ნაციონალისტი. ამიტომ სრულიად ბუნებრივად, როცა ის ჰეიენს 1949 წლის 1 ოქტომბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შობას აუწყებს, მთოვლიო პროლეტარულ რევოლუციის კი არ ჰპირდება ჩინელებს, არამედ: „ჩვენ აწი არასოდეს აღარ ვიქნებით შეურაცხყოფილინი“.

მთის პიროვნება ხასიათდება სამშობლოს მწვევე განცდით. ცნობილია: მთის, დედა უაღრესად ნაზი გრძნობებით უყვარდა. მის შეგნებაში დედა და სამშობლო ერთდამივე სიბრტყეზე მდებარეობენ. ალბათ ამიტომ, წყაროებს კრტიკულად უნდა მიუღდეს, ბაჯაღლიო ოქროს სილისაგან უნდა გამოარჩიოს.

როცა ის ჩინეთის სახელმწიფოს მესაქეა, თავის თანამემამულეებს ურჩევს: „ოჯახი უნდა შეიცვალოს სამშობლოთით“. ამრიგად, ოჯახი და სამშობლო ერთგვარად არიან აღქმული, მათს შემეცნებაში. მათს მიერ სამშობლოს ასეთი გაგების ლოდიკური შედეგია მისი შემდეგი პოლიტიკური ნაბიჯები: დღეს უკვე ნამდვილად ცნობილია, რომ უკვე 1945 წელს, იაპონიის დამარცხების შემდეგ მათ სკადა ამერიკასთან დაახლოვება, რათა კრემლის გავლენისაგან განთავისუფლებულიყო. სტალინმა მაშინ მოახერხა ამ ცდების ჩაშლა. სტალინმა ასევე მოახერხა ჩინეთი კორიის ომში ჩაება. ამ ომში მათ 1 მილიონი ჯარისკაცი და საკუთარი ვაჟი, გენერალი მათ ანი-ინგი, დაჰკარგა. ამ ომით, ისედაც ძლიერ ჩამორჩინელი ქვეყნის რეკონსტრუქცია უღერესად ჩამორჩა, რამაც აიძულა მათ საშუალო კავშირის დახმარება მიეღო და მით გამოეყუთულ დამოკიდებულებაზე დათანხმებულიყო, მაგრამ სულ იმას ცდილობდა, რომ ეს დაქვემდებარება რაც შეიძლება მცირე ყოფილიყო. შემდეგ, მან მოახერხებულად გამოიყენა სტალინის სიკვდილი, შემყვიდრებების მიერ გაზალებული „პიროვნების კულტის“ საწინააღმდეგო კამპანია. ჯერ ჩინელ სტალინელების

მიმხრობით კავშირი გაწყვიტა „კრემლის რევოლუციონისტებთან“, შემდეგში, „პროლეტარული“ და „კულტურული“ რევოლუციების წყალობით სტალინელებს წინაშე მოაჩვენა ხელისუფლებას და მით საბოლოოდ ჩინეთი განთავისუფლდა მოსკოვის ბრძანებულებისაგან. იდეოლოგიური მიზეზით დაწყებული უთანხმოება, ორ სახელმწიფოს შორის ინტერესთა დაპირისპირებაში განვითარდა, რითაც მსოფლიო ძალთა წონასწორობის სრულიად ახალი მდგომარეობა შეიქმნა. ამრიგად, შეუძლებელია მხედველობიდან გავუშვათ, რომ მათს მიერ 1960 წელს, კრემლთან გაწყვეტილ კავშირიდან გამომდინარეობს, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვის „საერთაშორისო თანასწორობის“, ისე ბრუნებისა და მისი ტროიკის „დებანტის“ დოქტრინები. კრემლი იძულებული გახდა თავისი ავანტიურისტული გეგმები გადაეზინჯა და შეტევის მაგივრად თავდაცვაზე გზრუნა. მაგრამ თუ დასავლეთმა ეს 16 წლის შესვენება თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენა, ეს თავის თავს დააბრალოს, მათ ცეტუსგს კი ამაში ბრალი არ მიუძღვის.

ოქტომბერი, 1976.

აშერიკის ახალი პრეზიდენტი — ჯიმი კარტერი

შ. შ.-ბის სპარეზიდენტო არჩევნები მუდამ დიდი საერთაშორისო ინტერესით ხასიათდება. ამის მიზეზი ის არის, რომ ეს სახელმწიფო უმდიდრესი და უმძრავლესია და უქანასკნელ ნახევარ სუბკონის განმავლობაში დიდ როლს თამაშობს კაცობრიობის ბედის გადაწყვეტაში ამასთან ერთად აღსანიშნავია: დემოკრატიულ ქვეყნებიდან, კონსტიტუციის მიხედვით, ამერიკის პრეზიდენტს უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრია: ის პიროვნულად პასუხისმგებელია ამერიკის საზენიო და საგარეო პოლიტიკის. ამიტომ, მას სამინისტროების სახელმწიფო მდივნები ჰყავს და არა სრულუფლებიანი მინისტრები. ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ ჯერ სპარეზიდენტო კანდიდატების შერჩევა მთავარ პარტიებში, შემდეგ, მეორე წრეში, ორ უძლიერეს პარტიის წარმომადგენლებს შორის ჯიბრი, ნამდვილ სპორტულ ხასიათს ღებულობს, რაც საჯაროდ ყველას თვალწინ მიმდინარეობს და სადაც წინასწარ თითქმის შეუძლებელია თქმა თუ რომელი გაიმარჯვებს. მიმდინარე წლის არჩევნებს ისიც აძლიერებდა, რომ ორ მთავარ მეტოქედან ერთი, პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი, ხალხის მიერ არჩეული არ ყოფილა, არამედ განსაკუთრებული პროცედურით დანიშნა გაიმარჯვებული ნიქსონის იძულებით გადადგომის შემდეგ, ის ნიქსონმა შეარჩია და კონგრესმა მოიწონა, მაგრამ საკითხი იყო თუ ამერიკელი ამომრჩეველებიც ამ არჩევას დადასტურებდა და მით ახალ 4 წლის საპ-

რეზიდენტო მანდატს მისცემდა. მეორე, ჯეიმს ვარლ კარტერი, ჯორჯიის შტატის გუბერნატორი, საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ სრულიად უცნობი იყო, როგორც ვერცელი ამერიკის მოსახლეობისათვის, ისე საერთაშორისო პოლიტიკურ კლასებისათვის. დასაწყისში თვით მისივე პარტიის ლიდერებიც უნდობლად ეკიდებოდნენ მის კანდიდატურას, მაგრამ დინამიური კამპანიის შედეგად, ჯიმი კარტერი იღებს მასის მხარდაჭერას და მით დემოკრატიულ პარტიის მთავარ შტაბს აიძულებს გვერდში ამოუდგეს მის კანდიდატურას. ამიტომ, არჩევნების შედეგებს ყველა დიდი ინტერესით მოელოდა და წინასწარ არავინ არ იცოდა რესპუბლიკელი ჯერი ფორდი გაიმარჯვებდა თუ დემოკრატი ჯიმი კარტერი. ამომრჩეველთა, დაახლოვებით 51 პროცენტმა ხმა მისცა ჯიმი კარტერს და აპრიგად მომავალ ოთხი წლის განმავლობაში ის იქნება ამერიკის შეერთ. შტაბის პრეზიდენტი და მით მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და გავლენიანი კაცი.

რა სურს ახალ პრეზიდენტს? რა გეგმები აქვს მას მომავალში სახელმძღვანელოდ? ამის თქმა ძალიან ძნელია, რადგანაც ასეთ გრძელ და მომქანცველ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ჯიმი კარტერმა ნამდვილი სასწაული მოახდინა; არავითარი თამასულები არ გაუტოლა და სულ ოდნავ ახადა ფარდა თავის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში მას ხელეები გახსნილი აქვს და შეუძლია ყველა დასმული სა-



მცირე ცნობები პრეზიდენტზე.

კითხი თავის დროზე ნებისმიერად გადაწყვეტოს. სავარაუდებელია, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ძირითადი ცვლილებები არ მოხდება. შეიძლება მხოლოდ შეიცვალოს პარტი კონგრესის მუშაობის სტილი და მეთოდი. ამბობენ: „ამერიკის პრეზიდენტს თეთრი სასახლე ქნისო“.

იმედია სახელმწიფოს საქვსთან ჯიმი კარტერი დაამტკიცებს, რომ ამერიკის დემოკრატია მისი არჩევით არ შეცვლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის არჩევა პრეზიდენტად იყო ბრძნული აქტი, რადგანაც დემოკრატიული პარტია ამერიკის ხალხის უმრავლესობის ნდობით სარგებლობს. ამერიკის შემადგენელ შტატების გუბერნატორების და ამერიკის კონგრესის წარმომადგენლების ორ მესამედს დემოკრატები წარმოადგენენ. პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია კი ამ უკანასკნელ შტატებში იყვნენ რესპუბლიკელები და ამის გამო კონგრესსა და ადმინისტრაციის შორის მუდმივი წინააღმდეგობა შეინიშნებოდა, რაც დაღს ასევე მთავრობის მოქმედებას. ამჟამად, როცა კონგრესის უმრავლესობა და პრეზიდენტი ერთი და იგივე — დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებია, მათ შორის პარტიული თანამშრომლობა დამყარდება, რითაც მთავრობის პოზიცია, განსაკუთრებით საგარეო ხაზით გაძლიერდება, უფრო ეფექტური და თანამიმდევრული გახდება.

ეს უსურვებთ ახალ პრეზიდენტს ამ ხელსაყრელი მდგომარეობით კარგად ესარგებლოს, როგორც ამერიკელი ხალხის, ისე საკაცობრიო თავისუფლების და დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

ახალი პრეზიდენტი — ჯეიმს ეარლ კარტერი, დაიბადა 52 წლის წინად ჯორჯიის შტატში, სოფელ პლენში, ფერმერის ოჯახში. წარმოშობით ირლანდიელი, სარწმუნოებით ის ეკუთვნის ბაპტიტურ ეკლესიას. ჯიმი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და მსახურობს წყალქვეშა ნავზე ოფიცრად. 1953 წელს, როცა მამა გარდაიცვლება თავს ანებებს სამხედრო კარიერას და აგრძელებს მამის საქმეს, (მიწის თხილის პლანტაციებისას, ამიტომ მოწინააღმდეგეები მას უწოდებენ ჯიმი კაკაუეტეს), რომელიც დიდათ ვააფართოვა. 1970 წელს, მას ირჩევენ მშობლიურ შტატის გუბერნატორად. ამ პოსტზე მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც თანამშრომლების ისე მცხოვრებლების მიერ. აღსანიშნავია: მსახურებში, სადაც რასიული დისკრიმინაცია ჯერ კიდევ დიდად არის გავრცელებული, ჯიმი კარტერი შავკანიანების დიდი სიმბატიებით სარგებლობს და იმათმა მასიურად ხმა მისცეს მის კანდიდატურას.

როგორც მისი მშობლები, ჯიმი კარტერიც არის ღრმა მორწმუნე ადამიანი. თავის საჯარო გამოსვლებში ის ხშირად ღვთის სახელით ლაპარაკობს, ამან საბაბი მისცა ზოგიერთ უარსახლისტ დაეწერა, რომ: „ჯიმი კარტერი მისტიკოსია და თავი მოკიჭულად წარმოუდგენია“. მასზე აგრეთვე ამბობენ: არის ნიჭიერი, ენერგიული, აქვს თავის დიდი იმედი, აქვს მტკიცე და შეუწყვეცი ნებისყოფა. ხასიათდება ფართო კულტურით, ბევრს კითხულობს, უყვარს მუსიკა. მისი თქმით: „ყოველი ადამიანი არის გამოწველი“.

გიორგი ქარველი.

უზგამეთის რეპოლუციის ოცი წლისთავი

ოცი წლის წინად, ნიკიტა ხრუშჩოვის მთავრობამ სასტიკად დასაჯა უზგრელები უცხოეთის უღლისაგან განთავისუფლების სურვილის „დანაშაულისათვის“.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, საბჭოთა უზარმაზარ მყინვარს ბზარები გაუჩნდა. დიქტატორის მემკვიდრეობისთვის ატეხილ შინაურ ანგარიშსწორების განმავლობაში დაპყრობილმა ერებმა ინსტიტუტურად იგრძენეს მონაბისაგან განთავისუფლების საბედისწერო ეპოქა, 1956 წლის მარტში მანიფესტაციები და რეპრესიები თბილისში და მთელ საქართველოში, მღელვარება გადადის აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, მღელვარებას კიდევ უფრო სერიოზული ხასიათი აქვს პოლონეთში, ხოლო უზგრეთში ეს მღელვარება ეროვნულ რევოლუციის ხასიათს მიიღებს, რომელიც დასაწყისში გამარჯვებით დაგვირგვინდება, და რომლის

დასამარცხებლადაც მოსკოვს დასჭირდება მძლავრი სამხედრო ოპერაციების წარმოება ერთი კვირის განმავლობაში, და რომელიც შეიწირავს უმრავლესად ადამიანის მსხვერპლს და მატერიალურ ზარალს.

უზგრეთის რევოლუცია ფაქტურად დაიწყო 23 ოქტომბერს, როცა პრალის სტუდენტობა შეიკრიბა 1848—1849 წლების უზგრეთის რევოლუციის გმირის, პოეტ პეტროვის ძეგლთან.

აქედან მღელვარება და საბჭოთა კავშირის ოკუპაციისაგან განთავისუფლების მოთხოვნილება სწრაფად მოედვა მთელ უზგრეთს, მოძრაობამ მოიკცა მოსახლეობის ყველა ფენები, განსაკუთრებით აქტიური იყვნენ მუშები და ახლგაზრდობა, უზგრეთის არმია მილიანად გადავიდა რევოლუციის მხარეზე. ერთად ერთი წინააღმდეგობა გაწევა ვეღასათვის საძულველმა, პოლიტიკურმა პოლიციამ, მგ-



რადგანაც სწორედ მუშები იყვნენ უნგრეთის რევოლუციის ყველაზე მხრავალ მებრძოლები. სამხედრო მეათურებს და წინასწარ საბრძოლო გეგმებს მოკლებული უნგრელები ვააფთრებით იცავდნენ თავს. ბრძოლები განსაკუთრებით დაუზოგავი იყო დედაქალაქში. მისი ყოველი უბანი, ქუჩა და სახლი თავდაცვის ბარიკადად იქნა გადაქცეული და მათი სათითაოდ აღება დასჭირდა შემოსეულ მტერს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ მთელი ქალაქი დანგრეული იყო და ქუჩები ავსილი დაზოცილებით. „ფიგაროს“ კორესპონდენტი, რომელიც იმ დროს იქ იყო ამბობს:

„ბრძოლების დამთავრების შემდეგ მე მხოლოდ დაკლულ ქუჩებს ვხედავდი, ქუჩებს, რომლებიც სასაფლაოებს წარმოადგენდნენ, ხოლო გადარჩენილებზე საბჭოთა პოლიციის ჯგუფები ნადირობდნენ, სატერით ავტომანქანებს აესებდნენ, რომლებსაც შემდეგ რკინის მავთულხარბებიან ვაგონებში ცლიდნენ. ამრიგად, მრავალი ათასი სიკვდილს გადარჩენილი ახალგაზრდა ციმბირში იქნა გადასახლებული...“

უთანასწორო ბრძოლაში უნგრეთის რევოლუტია დამარცხდა, მაგრამ მან ცხადყო უნგრეთის ერის უყვანვება, მისი ურყევი ნებისყოფა თავისუფალი და დამოუ-

კიდებელი არსებობისათვის, მან აგრეთვე დიდხალის შესარულა საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი მტერების გამოაშკარაების საქმეში. თუ მანამდე ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, უნგრეთის რევოლუციის შემდეგ ცხადი ვახდა: კრემლის ვაჟბატონებისათვის (მათ ერქმევათ ლენინი, სტალინი, ხრუშჩევი თუ ბრეჟნევი სულერთია), არ არსებობს არავითარი მორალი, არც შეზარალება, არც შეწყალება. მათთვის არაფერი არ არის წმინდა და ხელშეუხებელი. ისინი მხოლოდ სიკრულის ცბიერებას და ძალმომრეობის ღმერთებს ცემენ თავყანს. ჰუმანიზმი, სოციალიზმი ინტერნაციონალიზმი მათთვის შინაარს მოკლებული სიტყვებია, რომელსაც ისინი გულუბრყვილო ხალხის თვალის ასახვევად ხსარბოვენ და არა თავიანთ საქმიანობის სახელმძღვანელოდ.

ამრიგად უნგრეთის რევოლუტია იშვიათი გაკვეთილია, პირველ რიგში, ყველა იმ ერებისათვის, რომლებიც იბრძვიან კრემლის მონობის უღლისაგან თავის დასაღწევად, შემდეგ კი, ყველა მათთვის ვისთვისაც თავისუფლება ძვირფასია და არ სურთ თავი გაყონ ამ მონობის უღელში.

გ. მამალი.

პარიზი. ნოემბერი 1976.

სოლჟენიცინი და დემოკრატია

1973 წლის სექტემბერში ალ. სოლჟენიცინი წერილს უგზავნის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს. ამ წერილში ის თავისებურ ანალიზს უყეთებს, როგორც მსოფლიოს ისე საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას, მიანიჩა რომ მომავალში, რუსეთს მოელის დიდი საფრთხე, და რომ ის თავიდან იქნეს აცილებული, აუცილებელ საქმირობად მიანიჩა გატარებულ იქნას მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები მშართველობის პოლიტიკურ ხასიათში, მიზნებას და საშუალებებში.

6 თვის განმავლობაში, ალ. სოლჟენიცინი ამოვდ ელის პასუხს. ამ ხნის განმავლობაში, „კ. ვ. ზ.“ აღმოაჩნეს მის „არქიპელაგ გულაგის“ ერთ ხელნაწერს. საბჭოთა ხელისუფლებამ მკაცრ პროპაგანდას აჩაღებს მისი ავტორის წინააღმდეგ. დარწმუნდა რა, რომ ის პასუხს ვერ ეღიროსება თავისი ადარჯისტისაგან. ალ. სოლჟენიცინი გადაწყვიტავს გამოაქვეყნოს ეს „წერილი“ თავისუფალ დასავლეთში.

„წერილის“ ფრანგულად გამოცემასთან დაკავშირებით, წინასიტყვაობის სახით ალ. სოლჟენიცინი ამბობს:

„ამ წერილის შექმნა განაპირობა ერთადერთმა იდეამ: როგორ ავიცილინოთ ეროვნული კატასტროფა, რომელიც ჩვენ ვეშუქებრება? მასში წამოყენებულმა ზოგიერთმა

წინადადებად შეიძლება გავიყრება გამოიწვიოს. მხად ვარ ის უკან წაიღო დაუყოვნებლივ, თუ სხვა ვინმე შემოგეთავაზებას, არა დამკინავ კრიტიკას, არამედ კონსტრუქტიულ გზას, უყეთეს გამოსავალს, და განსაკუთრებით რეალურ და ნათელ პერსპექტივებს.“

აქედან ცხადია, რომ სოლჟენიცინისათვის, მის „წერილში“ წამოყენებული წინადადებები არ წარმოადგენენ მოსეს მიერ ღვთისაგან მიღებულ ცნებებს, და რომ ის მხად არის უკან წაიღოს, თუ მას ამაში დააჯერებენ.

სწორედ იმ მიზნით, რომ ალ. სოლჟენიცინი და მით მისი პოლიტიკის მომხრეები დავარწმუნოთ თავის შეცდომაში, ვაღდებულად ვთვლი თავს „წერილში“ გამოქვეყნებული ძირითადი დებულებები მიზანშეწონილობის თვალსაზრისით განვიხილო. თქმა არ უნდა, აზრად არ მაქვს არც პოლემიკის წარმოება, და მით უმეტეს, არც მტრული განზრახვები. პირიქით, აღექსანდრე სოლჟენიცინის პიროვნების დიდი პატივისმცემელი ვარ, დიდად ვაფასებ მის ნიქს და შემართებას, და მიმაჩნია, რომ საბჭოთა რეჟიმის ბუნების და ხასიათის გამომხუტრებაში მას ტიკატური ლეაწლი მიუძღვის.

როგორც კი სოლჟენიცინის „წერილი“ დასავლეთში გამოქვეყნდა, „თავისუფლების ტრიბუნის“ მკითხველებს ცაცნობდი რა მის შესახებ, (№ 4, ივლისი 1974 წ.). მე მა-



ზინვე აღენიშნე რომ: „საბჭოთა ტირანიასთან ასეთი ვა-
მოჩენილი მებრძოლი ვერ ამაღლებულა ქვეშარტი დე-
მოკრატის აღიარებამდე. იგი მთავარ ყურადღებას აქ-
ვეს დემოკრატიის სუსტ მატყობის და მხედველობიდან
უშვებს სწორედ იმას რაც წარმოადგენს დემოკრატიის
ძალას და ღირსებას. სოლჟენიცინი როდი მოითხოვს
ძალაუფლების ხალხისადმი გადაცემას, არამედ ის მომხ-
რეა ავტორიტარული რეჟიმის.“

ამის შემდეგ ორ წელზე მეტი ვაიდა. ბევრი რამ
მზხდა და შეიცვალა თვით ალ. სოლჟენიცინის ცხოვ-
რებაშიც. ის ვადმოსასწრებულ იქნა სამშობლოდან, იმყო-
ვება დემოკრატიულ დასავლეთში. ბევრს მოგზაურობს.
რისთვის ჩვეული გადაწყვეტილებით: მიუწოდებს დემოკ-
რატიულ ძალებს დაიარაღონ და წინ აღუდგენ საბჭოთა
ტოტალიტარიზმს, საერთაშორისო კომუნისტურ შეთქ-
მულებას. დიხაბც, ეს ყველაფერი კარგია და მისასალ-
მებელი, მაგრამ ერთის ან რისთვის უნდა გაიღოს
მსხვერპლი დემოკრატიაში?

დემოკრატიული ძალები, რომ სოლჟენიცინის მოწო-
დებებს დადებითად გამოეხმაურონ, ამისათვის აუცილე-
ბელი პირობაა, რომ თვით სოლჟენიცინის პოლიტიკური
მარჯმსი იყოს ყოველგვარი ექვემდებარება განთავისუფ-
ლებული, ნათლად გაგებული და წარმოდგენილი დემოკ-
რატიზმი.


თვით რუსეთში და მით უფრო საბჭოთა კავშირში მძიმე
წყვეტულ ერთა შორის, ამჟამად, პოლიტიკური ცვლი-
ლებებისადმი მიმართულება უდავლაა. ის თანდათან უფრო
ღრმად მოიცავს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენებს და
მათ შორის წითელი არმიის რიგებსაც. ამ უქანსაყნელთა
სულიერ განწყობილებებზე ნათლად მეტყველებს უკა-
ნასაყნელ ხანს, საბჭოთა სამხედრო გემების ეკიპაჟების ამ-
ბოხებები და სამხედრო ავიაციის პილოტების დეზერ-
ტრობა. ეკვი არ არის, რომ გაბედული სათანადო გა-
დაწყვეტილების მქონე ადამიანები, დაყარნობილი სა-
თანადოდ განწყობილ საზოგადო აზრზე, მხოლოდ ხელ-
საყრდელ მოემენტს ელიან პრაქტიკული ნაბიჯის ვადა
სადგემლად.

ასეთ პირობებში, უაღრესად მნიშვნელოვანია შეც-
დომა არ იქნას დაშვებული, და მოსალოდნელი სასურ-
ველი ცვლილების ნაყოფი არ მოიმკოს მკიერიტცხოვან
დემოკრატია ჯგუფმა, ისე როგორც ეს მოხდა 1917 წლის
ოქტომბერში.

წინააღმდეგ ალ. სოლჟენიცინის მტკიცებისა, მე მიმაჩ-
ნია რომ მასიური რევოლუცია სრულებითაც საფორთხ-
ბელი არ არის, თუ მასში მოქმედ ძალთა პოლიტიკური
სახე წინასწარ კარგად ცნობილია ხალხისათვის. სწო-
რედ ამ მოსაზრებით მე შევეცდები გამოვარკვიო „წე-
რილის“ ავტორის პოლიტიკური კონცეცია და რეალური
შედგენი გავითვალისწინო, რომელიც მის შესაძლებელ
განხორციელებას შეიძლება მოყვას.

მიმართავს რა კრემლის ბატონებს, სოლჟენიცინის წერი-
ლი ამბობს: სიმარლიდან შორს არ იქნებოდა უნდა შეტ-
ყვით, რომ ჩვენ არ ვითვლებით ისეთ მკაცრსავე სიტუ-
აციას, როგორც ალტონაურის“ თავყინისმცემელთა შორის,
რომელშიაც პოლიტიკოსები და თითქმის მთელი ქვეყა-
ნა, ითხ წლიწაღში ერთხელ, დროს კარგავს საარჩენი
კავანისისათვის, რათა პოლიტიკოსებმა თავი მოაწონონ
ხალხს...“ ან კიდევ, რომელიც ნებას აძლევს ტრიბუ-
ნალს, რომელიც სარგებლობს ხელისუფლებისაგან და-
მოუკიდებელი უფლებებით. მაგრამ მოწოდებულთა სა-
ზოგადოების ვნებათა დღევას ამბოს, უდნაწაულოდ გა-
მთაცხადოს კაცი, რომელმაც სამკვიდრო-სასიცოცხლო
ომის დროს სამხედრო სამინისტროში მოპარული დოკუ-
მენტები გამოაქვეყნა“. (ფრანგული გამოცემის 42 გვ.)

შემოდ თქმულიდან ცხადია, რომ ამერიკის შეერთე-
ბული შტატების დემოკრატია ალ. სოლჟენიცინისაგან
დაწუნებულია, ეხლა ვნახთ რა აზრისაა სხვა დემოკ-
რატიებზე: „უფრო მოფიქრებულ დემოკრატიებში იშ-
ვითი არ არის შემთხვევა, როცა ქვეყანა ირჩევს საბე-
დისწერო გზას მასების ვნებათა დღევას ზეგავლენით,
ან მოჩენებითი რიცხოზობიერ უმრავლესობის შედეგად,
რომელსაც იძლევა პატარა პარტიის დამატება, რომე-
ლიც იმყოფება ორ დიდ პარტიის შორის. ამრიგად მი-
ღებული უმრავლესობა სრულებით არ წარმოადგენს
უმრავლესობის ნება-სურვილს, და ეს მაშინ, როცა ასე-
თი უმრავლესობით წყდება არა მარტო ქვეყნის ძირი-
თადი პოლიტიკური საკითხები, არამედ მსოფლიო პო-
ლიტიკისაც.“ ამ ციტატის პირველ ნაწილში, „წერილის“
ავტორისათვის მიუღებელია დემოკრატიულ მთავრ-
ობებზე საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენა, ხოლო მეორე
ნაწილში დაწუნებულია გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის, საფრანგეთის, ან იტალიის ტიპის დემოკ-
რატიები, სადაც, როცა ვერც ერთი პარტია ხმების ამა-
სოლიტურ უმრავლესობას ვერ ღებულობს, ორი ან მე-
ტრ პარტია, მთავრობის ძირითადი სამოქმედო პროგრამის
გამომუშავების შემდეგ, ადგენენ კოალიციურ
მთავრობას — ასეთი მთავრობები ვითომც არ წარმო-
ადგენდენ მოსახლეობის უმრავლესობის ნება-სურვილს.
მართალია, რომ კოალიციური მთავრობები ხშირად არა
შეკარნი არიან და მმართველობის იდეალურ ფორმად არ
ჩაითვლებიან, (თუმცა დასავლეთ გერმანიავენ, მაშინ
რალა უნდა ითქვას ავტორიტარულ ზრეკიმებზე, სადაც
სრულიად ამის მსგავსი არაფერი არსებობს? რა თქმა უნ-
და არც ერთი რეჟიმი უნაკლო არ არის და ყველას
უფლება აქვს ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიული ხე-
ლისუფლება ვააკრიტიკოს, მაგრამ დემოკრატიული რე-



ვიმის გაკრიტიკება იმ მიზნით, რომ ავტორიტარული მართვის ფორმა უფრო მაღლა დააყენო, როგორც ამას ალ. სოლჟენიცინი სჩადის, მიმანია უმართებულოდ.

სოლჟენიცინის მიხედვით: „წესრიგი თავისთავად არ არის არა-მორალური. ის აუცილებელია მყარ და მშვიდობიან რეჟიმისათვის — მაგრამ, აქაც, ვარკვეულ მიჯნამდე, სანამ ის არ ქველთა თვითნებობად და ტირანიად“. სიმართლეა რომ წესრიგი მორალურია და მამსა-დამე საჭირო, მაგრამ დემოკრატია სრულებითაც არ გამორიცხავს წესრიგს, დემოკრატიაში ამ წესრიგს ამყარებს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები. ხოლო სოლჟენიცინის ავტორიტარულ რეჟიმში ტირანები.

წესრიგი დემოკრატიისათვის ისევე საჭიროა როგორც ჰაერი ცოცხალ ორგანიზმისათვის. წესრიგის პირობებში იფურქვინება დემოკრატია, ხოლო უწესრიგობა შობს პიროვნულ ან ჯგუფურ ტირანიას. რაც შეეხება სოლჟენიცინის სტრეილს რომ ავტორიტარული რეჟიმი თვითნებური და ტირანიული არ განდეს, სამწუხაროდ, სინამდვილეში ისინი ყოველთვის ასითები არიან მეტად თუნაკლებად. რადგანაც ისინი უხეშ ძალაზე და რებრესიებზე არიან დაყრდნობილნი და უამისოდ მათი არსებობა შეუძლებელია.

ანეთიარებს რა თავის აზრს რუსეთისათვის დემოკრატიული რეჟიმის უფარისობაზე, სოლჟენიცინი წერს:

„ჩვენში, რუსეთში, ჩვევის უქონლობის გამო, დემოკრატიაში იარსება მხოლოდ და მხოლოდ რვა თვის განმავლობაში: 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე. ზოგიერთი ემიგრანტი (კონსტიტუციონალური დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები) ამყაიდ აცხადებს, რომ მათ დემოკრატიის დამარცხებაში ბრალი მიუძღვის უცხოეთის ძალებს. სინამდვილეში, ეს დემოკრატია იყო მათი სირჯილი, როგორც ამბიციური სახლებით არ ნათლადენი მას, და რას არ ჰპირდებოდნენ, მაგრამ დემოკრატიაში ის ქაოსად გადააქცია და თვით კარიკატურად. მათ დაატყციეს, რომ ისინი დემოკრატიისათვის მზია არ იყინი და რუსეთი კიდევ უფრო ნაკლებად. უკანასკნელ 50 წელიწადში, რუსეთის უსწარი დემოკრატიული რეჟიმის დამყარებისა კიდევ უფრო შეეცურა. რომ მოხდის ჩიენს ჩიყანაში დემოკრატიის უიყარი შეშობობა. იძიის აარიში, ჩიენ იხილავთ 1917 წლის მწარი ანმორებებს.“ აქედან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

1. თებერვლის რეჟილუციის ხანა სოლჟენიცინისათვის არის დემოკრატიული.
2. მისთვის არ იყო მზად არც დემოკრატიის ლიდერები, მით უფრო არც რუსის ხალხი, ეს დემოკრატია იყო მათა (დემოკრატიის ლიდერების) სირცხელი.
3. სხვა დემოკრატია რუსეთის ისტორიაში არ იცის და ამიტომ მომავალში, რამდენად მისი გათვლისწინება

შეიძლება, რუსეთისათვის დემოკრატიული ლეგა მიუღებელია.

რუსეთის ისტორიაში, თუ დემოკრატიის არსებობის ძიების დავიწყებთ, მას მხოლოდ 1905—12 წლებში აღმოვაჩინოთ, თუმცა ეს დემოკრატიაც, მევის ხელისუფლებას არბრებებში ყავდა ჩასმული და ვასაქის არ აძლევდა. ამ დემოკრატიის ვავლენა საიმპერიო პოლიტიკაზე ძალიან უნშიშენელი იყო, მაგრამ ადვილობრივი, საქალაქო თვითმართვლობებში ვაცილებით მნიშვნელოვანი. ნაბიძები უღლებები ხალხს თანდათან უკან წარათვის და 1912 წელს, რუსეთი კვლავ დაუბრუნდა თავის ისტორიულ გზას, აბსოლიტურ მონარქიისას და ამის გამო კიდევაც დაილუბა.

რაც შეეხება თებერვლის რევოლუციის რვა თვის, ის ჩემი აზრით დემოკრატიული არ ყოფილა, როგორც ეს სოლჟენიცინს მიაჩნია, არამედ რევილუციური. დემოკრატიულ რეჟიმისათვის აუცილებელია ხალხის საერთო წარმომადგენლობა, არჩეული წესრიგისა და თავისუფლების პირობებში, რომელიც ირჩევს თავის მხრივ მთავრობას, მის საკონტროლო ორგანოს, ცემს კანონებს და როგორც ხელისუფლება ისე ხალხი ვალდებულია იმოქმედოს ამ კანონების ფარგლებში. დემოკრატ. მთავრობამ რომ იხელმწიფოს, მის განკარგულებაში უნდა იყოს სამხედრო ძალა. არაფერი ამის მსგავსი ნიკოლოზ მეორის გადადგომიდან ბოლშევიკურ ვადატრიალებამდე არ ყოფილა. ძველი კანონები ვაუქმებულ იქნა, ახალი მ შეიძილებდა არსებოლიყო ვადამუშენებელ კრების მოწვევამდე. ადვილი ჰქონდა ხელისუფლების ვაირებას რევილუციის პირველ დღეებიდანვე, ერთის მხრივ, ომის წინ არჩილი და ძალი ვაუქმებული მი-4 დუმა, რომელსაც რევილუციო არ მოუხდენია და მეორის მხრივ, მუშათა და ვარისკეთა საბჭოები, სადაც თავს იყრიან რევილოუციური პარტიების წარმომადგენლები. არც ერთ ამ ინსტიტუტში ერთსულოინება არ სუფევს, მაგრამ მიინც ორივე მხარეში თავს იჩენს დემოკრატიულ ძალების უმრავლისობა. რომელიც ადვილს კოალიციურ დროებით მთავრობებს. არ უნდა დაივიწყოთ, რომ თებერვლის რევილოუციამ მოიკიდრიობით მიილა არაჩეულბრვიად მძიმე მთავრობა. რუსეთმა ვაქტიურად ომი წაავო. ანადავლობას ვადარჩინილი, რიკიბორიად უსწარმზარი არმია სრულიად დესორგანიზებულია და ის წესრიგის დასამყარობლად დროებით მთავრობის იარაღს კი არ წარმოავაინს, არამედ ქმნის საფრთხეს მემარჯვენი ან მიმარცხენი ავანტიურბიისას.

ქალაქის და სოთლის მოურნობა სრულიად მოშლილი იყო. ვანსაკუთრებით უმწყო მთავრობობაში იყო ტრანსპორტი და მოსახლეობის მომარაგების საჭიე. მწვევე იკონომიური კრიზისი ბუნებრივად იწიეის მოსახლეობის მზარდ უიყავთილებას, რომელსაც არ შეიძლება მოეთხოვის მიზეზების შეუქმდარი ანალიზი.



შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობიდან დემოკრატია, რომ გამარჯვებული გამოსულიყო საჭირო იყო დროებით მთავრობას სწრაფი ზომები მიეღო ქვეყნის მთავარი სატიკერების მოსაშუშებლად, რომელთა შორის უმთავრესი იყო ომის და ზავის საკითხი. ამ მთავარ საკითხში მერყეობამ, ხალხის დიდი უმრავლესობისათვის სასურველი ზავის დავიანებამ, ახალმა სამხედრო მარცხმა, გზა გუეხსნა ლენინის დემოკრატიის და ამის გამო თებერვლის რევოლუციამ დემოკრატიის მაგივრად შვა ბოლშევიკური საბჭოთა დიქტატურა.

მიუხედავად თებერვლის რევოლუციის ასეთი მარცხისა, ის საბაბს არ იძლევა იმის თქმისას, რომ რუსის ხალხისათვის დემოკრატია მიუღებელი იყო. ორი თვის შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალების, 5 იანვარს 1918 წელს, როცა რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბა, 707 დაპუტატიდან მხოლოდ 175 იყო ბოლშევიკი და ბოლშევიკების რეზოლუცია, ხელისუფლების ხასიათის შესახებ, უარყოფითი იქნა 237 ხმის უმრავლესობით.

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მუქარისა და რეპრესიებისა, თავისუფლად არჩეულ რუსის ხალხის წარმომადგენლების ორმესამედმა დავმო ბოლშევიკური გადატრიალება და განაცხადა დემოკრატიული რეჟიმის დამყარების საჭიროება.

ამ ისტორიულ ამბიდან სრულიად საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთება შეიძლება, ვიდრე ამას სოლჟენიცინი ჩადის. რუსის ხალხს, მის დიდ უმრავლესობას, დემოკრატიული რეჟიმი სწყურიადა, მაგრამ უმცირესობამ ძალით თვის მოახება ბოლშევიკების ავტორიტარული რეჟიმი.

თებერვლის რევოლუცია არც სხვა მხრივ ყოფილა ისეთი „სირცხვილი“ როგორც ის სოლჟენიცინს ჰგონია. მიუხედავად მემკვიდრეობით მიღებულ მეტად მძიმე და რთულ პირობებისა, დროებითმა კოალიციურმა მთავრობებმა და მისმა დასაყრდენმა დემოკრატიულმა ძალებმა შეძლეს სამოქალაქო ომის და მით გამოიწვიეს მსხვირპლის და ზარალის თავიდან აცილება. ის რაც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მოხდა არ შეიძლება თებერვლის რევოლუციას დაბრალდეს. დინიკინის, ვრანგელის, კოლჩაკის თუ სხვა სამხედრო მოძრაობები, ოთხი წლის შეუბრალებელი სამოქალაქო ომი, ათეული მილიონობით მსხვირპი, ქალაქები და სოფლები დანგრეული, ენით აუწერელი შიმშილობა შეიძლება თავიდან აცილებული ყოფილიყო ლენინის ავანტურა რომ არ მომხდარიყო. ლენინის ვანტურა იყო თებერვლის რევოლუციის შემთხვევითი მარცხი და არა მისი ბუნებრივი შედეგი; რუსეთის არა ისტორიული აუცილებლობა.

ბევრი რუსი და საერთაშორისო ისტორიკოსი თუ კომენტატორი სათანადოდ არ ავსებს თებერვლის რევოლუციის რვა თვის პერიოდს, (ეს ნაწილობრივ საბჭოთა

პროპაგანდის გავლენითაც ხდება), ზოგი სრულიდაც გავმოტოვებს ამ ხანას და შეფის რუსეთის ისტორიის უმცირეს ალიოდ აბამს ოქტომბრის გადატრიალებას და მისი წინააღმდეგობა. (არა ერთი კინო-ფილმი ამაგვარად წარმოდგენილი). მათი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ თვითმკარობების რეჟიმი იყო მკაცრი, უსამართლო, გახრწნილი და სრულიად მოშლილი. დავა არ არის, ის უნდა შეცვლილიყო, უნდა მომხდარიყო რევოლუცია. მოხდა ეს რევოლუცია, ბოლშევიკების ზეობა დღევანდლობით, რაც შედარებით უეჭველად არის პროვოცირებული, მაგრამ ამ რევოლუციამ გამოიწვია მილიონობით მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი. მასასადამე მომავალში რევოლუცია აღარ უნდა განმეორდესო. ერთი სიტყვით, თითქმის რუსეთისათვის რევოლუციის სხვაგვარი განვითარება შეუძლებელი ყოფილიყო.

ერთი საუკუნეზე მეტს, — ამბობს სოლჟენიცინი, — რუსეთის ინტელიგენცია იბრძოდა ავტორიტარულ რეჟიმის წინააღმდეგ, ამ ბრძოლამ გამოიწვია დიდი მსხვერპლი, მაგრამ სამაგიეროდ რა მიიღო მან პირადად მისთვის და ხალხისათვის? წინააღმდეგი იმის, რასაც ის მოელოდა. მასასადამე, უნდა ვიღიაროთ, რომ რუსეთისთვის ეს გზა მცადარა, ან ნაადრევნი იქნებ მომავალში, რომლის გათვალისწინებაც შეიძლება იდეს, რუსეთში არ იარსებოს სხვა. — გვინდა თუ არა ეს ჩვენ ასე, ვადაუწყებთ ჩვენ ამას ასე თუ არა, — ვარდა ავტორიტარული რეჟიმი. იქნებ მხოლოდ ამისათვის არის ის დღეს მწიფე?”

მიიღო რა ავტორიტარული რეჟიმის გარდაუვალობა, სოლჟენიცინი ავტოტოტებს: „თავისთავად ავტორიტარიზმი კი არ არის უტანელი, არამედ დიფოლოგიური სიტუაცია, რასაც თავს ვკავხვევს ყოველდღიურად, იმდენად ავტორიტარიზმი კი არ არის უტანელი, არამედ თეთინებობა და უკანონობა“...

ერთი სიტყვით, ალ. სოლჟენიცინის არჩევანი საბოლოოდ გაკეთებულია, მან გადაჭრიტ აირჩია ავტორიტარული რეჟიმი. ეხლა მხოლოდ საჭიროა ვავიფოთ თუ როგორი ავტორიტარული რეჟიმი უნდა მას.

„რადგანაც მე შეგეთავაზეთ თქვენ დიალოგი რეალისტურ პოზიციებიდან, მე უნდა ვიღიარო ჩემი მხრით, რუსეთის ისტორიის გამოცდილებით, წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი რევოლუციის და ყოველ ძალდატანებით ბოძვის და მათში მომავლისათვისაც, ისეთებისაც, რომლებსაც თქვენ ასე მოვლით (ჩვენს ვარე სამყაროში), და ისეთებისაც რომლებსაც თქვენ გეწინით (ჩვენს ქვეყნის შიგნით). შევისწავლეთ რა ეს ფენომენები, მივიღეთ უცილებლად აზრი, რომ სისხლიანი რევოლუციები არან შეუძამ დიდი მსხვერპლის მომტანნი იმ ხალხებისათვის, რომლებიც ამას ახდენენ და მე სრულებით მარტო არა

1922





ვარ ამ აზრის, რომ მოხდეს ნაჩქარები ვადატრიალებით ახლანდელი ხელმძღვანელების შეცვლა, (მისი მთელი პირამიდის), სხვა პირებით, არ შეიძლება არ გამოიწვიოს ახალი გამანადგურებელი ურთიერთ შეტაკება, და რომ ასალი ხელმძღვანელები უყეთესი ხარისხის იქნებიან, ძალიან საეჭოა“.

აქედან ცხადია, რომ სოლენიკინმა უარყო რა დემოკრატიული რეჟიმის შესაძლებლობა რუსეთისათვის, წინააღმდეგია საბჭოთა ტრიალის ძალდატენებით შეცვლას; (თავისი ნებით არც ერთ ტრიას არსად და არასოდეს ხელისუფლება არ დაუთმია), და „რეალისტურ მოსაზრებით“ სთავაზობს დღევანდელ, ხალხის თვალში სახელგატეხილ ხელმძღვანელებს, დარჩენ და მართონ თავიანთ ქუთუხზე. და ეს ისეთ ხელმძღვანელებს რომლებმაც ძალაუფლება ხელში ძალით ჩაიგდეს, ჯერ კიდევ ბურჟუთი მოკულ კრიმინალურ შეიქმმულეების შედეგად, და, რომელთაც არ გააჩნიათ ხელისუფლების არავითარი ლეგალური ბაზა, თუ შედეგელოაში არ მივიღებთ მათ მიერ მოწყობილ სამსჯარადო არჩევნებს.

ასევე: „რეალურ თვალსაზრისიდან გამომდინარე, მე არ ვთხოვთ, გამოცვალოთ ხელისუფლების დღევანდელი დასაყრდენი, რამელიც თქვენი მოხმრვა. მხოლოდ თავი მოუყარეთ ერთ საბჭოების სისტემაში, ყველა მას, ვინც მივანიათ გამოსადეგად, ეფექტურად, რომ აწი ადმინისტრაციული თანამდებობები არ იქნენ დარეგულირებული, როგორც ეს დღეს ხდება, პარტიის წევრობის მიხედვით. ამბობენ, რომ პარტიაში ეწერებიან ყაიყრის გულიათვის. ჩამორეცხეთ თქვენს პარტიას ეს ქუჭი! მიეცით შესაძლებლობა სხვა თქვენს თანამემამულეებსაც, რომლებსაც შეუძლიათ მუშაობა, ავიდნენ ხელისუფლების საფეხურებზე პარტიული ბილეტის ქონების გარეშე. ამრიგად, თქვენს განკარგულებაში იქნებიან შემძლე ადამიანები, ხოლო პარტიაში დარჩებიან მხოლოდ დაუინტერესებელი ადამიანები. ბუნებრივია, იქვენ არ ინდონებთ, რომ თქვენი პარტია აღარ იყოს მყარი ორგანიზაცია ადამიანების, რომლებიც ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედებენ. უეჭველია თქვენ ისურვებთ, რომ თქვენი კრებები იყონ კერძო, დაფარული მსესებისაგან, „დაეკტილები“. მაგრამ როცა თქვენ ხელს აიღებთ იდეოლოგიაზე, როცა თქვენი პარტია ხელს აიღებს მსოფლიოს დაპყრობაზე, რაც განუხორციელებელია და რაც ჩვენ არ გვესაჭიროება, რათა იზრუნოს ეროვნულ საკითხებზე, ეს ჩვენ გვიხსნის ჩინეთთან ომისაგან და ტექნოლოგიურ ვაკუუმებისაგან.“


მართალია დიდი შეღავათი იქნება კრემლი რომ ხელს აიღებდეს მარქსისტულ - ლენინურ იდეოლოგიაზე და მსოფლიოს დაპყრობის პრეტენზიებზე, მაგრამ კრემლის ბატონებმა კიდევაც რომ მოინდომონ ეს, საეჭოა, რომ

მათ ეს შეძლონ იმ პირობებში რომლებსაც სოლენიკინი მათ სთავაზობს. საეარაუდებელია რაიმე მათე და უარესიც შეიძლება დემარტოთ რაც წინააღმდეგობა ჩივს. მაგრამ ზემოდ მოტანილ ადგილებზე ჩვენ ეს ამბავი კი არ გავშვითებს, არამედ ის რომ, სოლენიკინის ამ პოლიტიკურ ვაჭრობაში, თითქოს ხალხი არც კი არსებობს. ის რუსი ხალხის ნება-სურვილს არაფერად არ ავდებს. თავში აზრადაც არ მოსდის, რომ ასეთი ხასიათის ცვლილებები რუსის ხალხმა შესაძლებელია არ ისურვოს.

საბჭოთა ხელმძღვანელებს სოლენიკინი სხვათა შორის ურჩევს: „ნება დართეთ თავისუფალ ხელგენებას, თავისუფალ ლიტერატურას, თავისუფალ გამოქვეყნებას, და არა პოლიტიკურ წიგნებს, (დემოკრ და დეკონსტრუქციონს), არც საარჩევნო პროკლამაციებს და მოწოდებებს, არამედ ფილოსოფიურ, მორალურ, ეკონომიურ და სოციალურ შრომებს.“

საკვირველი ვანვითარება აზროვნების! რაც სრულ წინააღმდეგობაშია თვით სოლენიკინის ცხოვრებასთან, მაშინ როდესაც სოლენიკინი საბჭოთა ხელმძღვანელებს უგზავნის უსდრესად სოლიტიკურ წინაარსის წერილს, მაშინ როცა ის ამითაც არ ცმაყოფილებდა და ხელისუფლათა ნებაართვის გარეშე, საზღვარგარეთ ატყვენებს მას, ამავე წერილში ის იცავს იდეას პოლიტიკურ აზროვნების კონტროლისას და წინააღმდეგია პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის თავისუფალი გამოქვეყნების.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ლიდერებისადმი მინაწერ წერილში, როგორც ეს მოყვანილი ადგილებიდან ცხადია, ალ სოლენიკინი შეგნებულად, გადაჭრით წინააღმდეგია რუსეთში დემოკრატიულ ცვლილებების ამის მავიგარდ ის წინადადებას იძლევა“ ხელისუფლება შეინარჩუნება საბჭოების დღევანდელმა შესეერებმა და ამავე დროს, საბრძანებლო პოსტებზე დარჩეს ყველა ისინი ვინც ხელისუფლებას დღეს მხარს უჭერს, და ამ უკანასკნელს საჭიროდ მიჩანია. სოლენიკინი ასევე თანახმაა დარჩეს ერთადერთი კომუნისტური პარტია, მონოლიტიური. ცენტრალიზებული და საიდუმლოებით მოცული. კიდევ მეტი, სოლენიკინი თანახმაა, რომ პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა, მოწოდებები, პროკლამაციები არ იქნან ნებადათხოვლი. როგორც ვხედავთ, აქამდე სიხვე სოლენიკინის პოლიტიკურ ჩანაბიჭრსა და არსებულს შორის თითქმის არაფერია და მასსადაამე, „ჩიტი ბრდინდარ არ ღირს“. სოლენიკინის სიხველ მდგომარეობს იდეოლოგიაზე ხელის აღებაში, (გულისხმება მარქსისტულ - ლენინური იდეოლოგია), რაც, წინააღმდეგ ალ. სოლენიკინის მტკიცებისა, ოდნავადაც არ შეატყობს მოსალოდნელ ჩინეთის საფრთხეს. მაგრამ რუსის ხალხს ამით უეჭველად მიეცემა დიდი შეღავათი, რადგანაც ის ვანვითარებულდება იმ უსაშველო ხარისხსაგან, რაც მას უჯდება მსოფლიო კომუნისტურ



აურზაურის დასაფინანსებლად. თუ კერძო წარმოების და პირადი ინიციატივის უფლებაც მიიღო, მაშინ ამ 60 წლის განმავლობაში არსებულ სიღატაკესაც შეიძლება ბოლო მოეღოს და ეს არ შეიძლება არ იყოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სასურველი ნატივია. თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, ასეთი ხასიათის ცვლილებები სრულიად მოსალოდნელია, მაგრამ ამ ცვლილებას განახორციელებს არა საბჭოების დღევანდელი ხელისუფლება, არამედ კრემლის სახალისი შინაურ გადატრიალებით (უფრო მოსალოდნელია მხედრების) მოსული ახალი ადამიანები. ეს იქნება რუსეთის სახელმწიფოს რესტავრაცია, საბჭოთა ბონაპარტიზმის შემდეგ. სავარაუდებელია, როგორც ფრანგმა ხალხმა არ მოისვენა სანამ მისი დიდი რევოლუციის მთავარ პრინციპებს არ დაუბრუნდა, ისე რუსები და საბჭოთა კავშირის ხალხები არ მოისვენებენ სანამ რუსეთის თეატრალის რევოლუციის მიზან-სწრაფვები ცხოვრებაში არ გატარდებიან. და განა აუცილებელია ამ ახალი სახის დიქტატურის პერიოდის გავლა, რომ თავისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვოს? რა თქმა უნდა არა!

საბჭოთა ტირანიის ერთადერთი და ქეშმარიტი ალტერნატივი არის დემოკრატიული მართებლობა. 60 წლის უსასტიკესი დესპოტიის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ხალხებს თავისუფლება ისე სწავლიათ, როგორც აფრიკელ დასიცულ ბედნიერებს ამაზისამდე მიღწევა. ავსურდები, თავის მოტყუილება ილაპარაკო თავისუფლებაზე დემოკრატიული მართებლობის გარეშე. ყოველგვარი **ავტორიტარული** რეჟიმი ნეგაცია თავისუფლების. არც წარსული, არც დღეს ამის შევადლოთ არ მოიპოვება. თავისუფლება არ შეიძლება არსებობდეს, ამისთვის საჭირო და აუცილებელ გარანტიების გარეშე: უფლება პარტიების, კლუბების, საზოგადოებების, სიტყვის, კრების, დემონსტრაციის, გამომცემლობის, შრომის, ოცნების, მიზანსწრაფვის და სხვა. იქ სადაც არსებობს ეს პირობები, თავისუფლებაც საერთოდ დაკულია და რეჟიმი დემოკრატიულია. ყველა დანარჩენში თვისუფლება დათრგუნვილია და ის **ავტორიტარულია**.

ის ვინც აპროპრიებს თავისუფლებისათვის იბრძვის, ვინც სამართლიანობას და კანონიერებას მოითხოვს, ვინც ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგია, ისე, როგორც ალ. სოლჟენიცინი, რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნის კი არ უნდა ეშინოდეს, არამედ მთელი თავისი შინაგონობით უნდა ამოხადდეს და იმდენად ამ მოსალოდნელ და სასურველ მოვლენისათვის. ხელის დაწვის შიშით კაცობრიობას ხელი არ აუღია ციხის გამოყენებაზე. დემოკრატიის ცეცხლთან შედარება მითაც სანტიტრესოა, რომ როგორც ცეცხლში, დემოკრატიაშიც იწვის და სუფთავდება საზოგადოება ყველა იმისა-

გან, რაც კაცურ კაცობას ხელს უშლის. კაცობრიობის გარიყრადიდან, პრომეთეები იბრძვიან სასურველ ცვლილებებისათვის. თუმცა ჯერ კიდევ ისინი შეუქვეყნებელი არიან ამ თავბედობისათვის, მაგრამ ეჭვი არ არის საბოლოოდ ისინი გაიმარჯვებენ.

გ. წერეთელი.




აღამიანები და წიგნები

ბიოგრაფი ნ. მ. ხ ა ძ ე ს 75 წელი შეუსრულდა
ახალგაზრდა, ისე, როგორც არასოდეს, ის აგრძელებს ნაყოფიერ ეროვნულ მოღვაწეობას.
„თავისუფლების ტრიუმფი“ ულოცავს და უსურვებ მრავალუმიერს.

ელენე პარპრი და ანკოს-ხუბრაბიშვილი

ა/წ 26 მაისს, სორბონის უნივერსიტეტში ქალბატონმა ელენე კარრერ და ანკოსმა ბრწყინვალედ დაიცვა სახელმწიფო დოქტორის ხარისხი, (დოქტორ და ეტა ეს ლეტრ), თემაზე: „ბოლშევიკები და ეროვნებები 1929 წლამდე“. ეს სადისერტაციო შრომა მალე დაიბეჭდება, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს.
ელენე კარრერ და ანკოსი ვახალავთ გიორგი ზურაბიშვილის ასული. დაიბადა პარიზში. წარჩინებით დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, მოიპოვა დიპლომი და შემდეგ ისტორიის მეცნიერების დოქტორის ხარისხი. იმავე ინსტიტუტში ის ხელმძღვანელობს უმაღლეს ციკლის სწავლებას ს. ს. რ. კას შესახებ. და ამავე დროს ასრულებს საფრანგეთის სახელმწიფო პოლიტიკურ მეცნიერების ფონდატაში უფროსი მკვლევარის თანამდებობას. აქ წარმოებულ გამოკვლევები მან გამოაქვეყნა რამოდენიმე ნაშრომად, რუსეთის დიდ ეროვნულ მოძრაობებზე. 1972 წელს, „უნივერსიტეტპორენმა“ გამოცემა ელენე კარრერ და ანკოსის კაბიტაღური შრომა: „საბჭოთა კავშირი ლენინიდან სტალინამდე“. 1917—1953.“

საბჭოთა ხელისუფლების მუდმივი ფალსიფიკაციის წყალობით, და ენებათა დეკლავების ჯერ კიდევ დაუცხრომლობის გამო, ეს პერიოდი ძნელია და სადაო, თანამედროვე ისტორიოგრაფისათვის. ქ-ნ ელენეს ნაშრომი დაწერილია ყველა დღემდე ცნობილ პირველწყაროების ღრმა და საფუძვლიან ცოდნით, საუცხოო და ყველასათ-



ვის ადვილად გასაგები ენით, რომელიც იკითხება, როგორც საინტერესო რომანი.

როგორც საბჭოთა კავშირის საკითხების იშვიათი მკოდნე ელენ კარრერ და ანკოს მიწვეული იყო ვახუთი „ფიგაროს“ თანამშრომლად, რომლის ფურცლებზედაც დიდი ბეჭდა მისი სერიოზული წერილები დღევანდელ საბჭოთა კავშირზე და მის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

ქალბატონი ელენე ახალგაზრდაა, მას წინ აქვს გრძელი შემოქმედებითი გზა. ვუსურვებთ დიდ წარმატებებს და როგორც ხშირად საქართველოსაკენ ვადაცხვდის.

ა. წერეთელი.



კომკოზმობტორი ნიკოლოზ ზურაბიშვილი.

ქ. ავინიონის საზაფხულო ფესტივალის ჩარჩოში, რადიო „ფრანს - კულტურ“-ში, კვირას, 1 აგვისტოს, 10-დან 11 საათამდე ვადასცა, ავინიონის სენ - რუფის ეკლესიის წირვა შესრულებული თანამედროვე მუსიკაზე, რომლის ავტორია ნიკოლოზ გიორგის ძე ზურაბიშვილი.



ღვთობა და გარდაცვალება

კრებული თელავის უნივერსიტეტი, ებრაელთა ისტორიის კვლევითი საზოგადოება. 1976 წ.

კრებული შედგენილია ფანი ააზოვის მიერ; (დავითის ასული და გერცელის და).

ქართულ ენაზე გამოცემული ეს 330 გვერდიანი წიგნი უხვად დასურათებულია: 35 ფოტოგრაფიის გარდა წიგნში დაბეჭდილია ფოტოპირები აფიშების, ჟურნალების თავფურცლებისა და სხვა დოკუმენტებისა.

რამზინი დავიდ ბააზოვი, მეთაური და სულის ჩამდგმელი იყო სიონიზმის საქართველოს ებრაელთა შორის. 1883 წელს ცხინვალში დაბადებული, ვილნოში ებრაულად განსწავლილი, 1903 წლიდან იონის ებრაელთა რამზინი... გარდაიცვალა 1947 წ. თბილისში.

მისი შვილი გერცელ ბააზოვი, საქართველოში საკმაოდ ცნობილი მწერალი და დრამატურგი, მამის კვალს მისდევდა. დასერიტეს მოსკოვში 1938 წ.

ამ მამაშვილის მოღვაწეობას ასახავს ეს წიგნი — არასრულად, მასალისა და დოკუმენტების დაკარგვისა თუ მოსპობის გამო. ეს არ არის საქართველოს ებრაელთა შორის სიონიზმის ისტორია, მაგრამ მისს საკითხის სურათის იძლევა, რამდენადაც ამ მოძრაობის მთავარი პიროვნებები ჩვენში, სწორედ მამა და შვილი ბააზოვები ყოფილან.

ამ უკანასკნელ წლებში, როგორც ვიცით, საქართველოს ებრაელთა საკითხმა დიდი ყურადღება მიიპყრო, იზრავს მათი მასიური გადასახლების გამო, საქართველოს

პრესაში ამ საკითხზე ბევრი დაიწერა. ემიგრაციაში ქართველთა შორის საუბრის დროს ამ საკითხზე ხშირად ვხვდებით ხოლმე.

წიგნში მოყვანილი დოკუმენტები მკითხველს იმდროშაკის მისი ცემის თუ როგორი იყო თვით ებრაელთა მიდგომა ამ საკითხის მიმართ წარსულში, და ამგვარად დღევანდელ მიდგომარეობის ასხნა-გაგებაშიც დიდ და დახმარება.

წიგნის გამოწერა შეიძლება: ფანი ბააზოვი.

ტელ-ავივის უნივერსიტეტი. ებრაელთა ისტორიის კვლევითი საზოგადოება.

მ. ქავთარაძე.

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო


† კოლონელი ნიკოლოზ თოხაძე

გარდაცვალების 1 წლისთავის გამო.

კოლონელი ნიკოლოზ თოხაძე გარდაიცვალა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პარიზში, 1 მაისს 1975 წ.

განსვენებული დაიბადა 13 თებერვალს, 1901 წელს ქ. ოზურგეთში. თბილისის ქართული სამხედრო საავიაციო რეზერვის შემდეგ ის შედის ქართულ სამხედრო საავიაციო სსსწავლებელში, რომელიც დაარსებული იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, რათა შექმნილიყო ქართველ ოფიცერთა კადრი. როგორც პატრონიტი ის პირველი ჩაირიცხა ამ სკოლაში და ითვლებოდა ბრწყინვალე მოსწავლეთ. საქართველოზე რუსეთის თავდასხმის დროს, პირველ იუნკერებთან ერთად ის იბრძოდა ტახამელა-კოჯორის ფრონტზე. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მის შემზღობლ ამხანაგებთან ერთად, (ა. ჯინჭარაძე, გ. ოდიშელიძე, ი. ჯანაძე და ალ. კინწურთაშვილი) საფრანგეთში მიდის, სადაც ამთავრებს ფრანგულ სამხედრო სსსწავლებელს სუფიციენტანტის ხარისხით და მასხურბის საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში. 1934 წელს ჰდება კაპიტანი. 1958 წელს იღებს პოლკოვნიკის ხარისხს სარეზერვო ჯარისას. განსვენებულმა ღირსებულად გაიქაბრა მისი სამხედრო კარიერა; მონაწილეობას იღებდა ალ-ჯორისა და მარკოვის ომებში; 1941—45 წლებში, მოღვაწეობს ინდო-ჩინეთში; 1950—52 წლებში მსახურობს მადაგასკარში; 1954—56 წლამდე არის მარკოვი, და მეთაურია კაზხა-ტადილაში ლეგიონის ნაწილის. 1957 წლიდან ის ეკუთვნოდა ვენსენის უცხოელთა გენერალურ შტაბს. განსვენებულმა ღირსებულად დაიმსახურა ჯილდოები: საანტიო კომანდორის, სამხედრო ჯვრები და სხვადასხვა სამხედრო ჯილდოები.

სამხედრო სამსახურის დატოვების შემდეგ, განსვენებული ცხოვრობდა ცოლშვილით პარიზში. ის აქტიურ მშრომობას ეწეოდა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს საქმიანობაში. 1967 წელს მას ირჩევენ ქართველ ყოფილ მხედართა საზოგადოების თავმჯდომარეთ. განსვენებულმა დიდი როლი ითამაშა ქართული



ოვისის; დაარსებაში, რომელიც იცავს ქართველთა ინტერესებს აფრანგეთში. იყო საქართველოს ქსამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო კულტურულ, საზოგადო და პოლიტიკურ სარბიელზე. მხოლოდ ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და ბოლოს სიკვდილმა მოსწყვიტა ის ქართულ საქმის ერთგულ სამსახურს.

ვასლ წლის 5 მაისს, ნიკოლოზ თოხაძე დასაფლავებული იქნა ლეილის ქართულ სასაფლაოზე.

მისი კუბო მორთული იყო ქართულ-ფრანგულ დროებით და მრავალი გვირგვინებით. დაესწრო მთელი ქართველი სათვისტომო და ფრანგი საზოგადოება. წესი აუვა მამა ილიამ და წარმოთქვა მეტად გრძობიერი სიტყვა. გამოსთხოვარი სიტყვა წარმოსიტყვა აგრეთვე საფრანგეთის სამხედრო შტაბის ყოფილმა უფროსმა გენერალმა ო ლ ი ე-მ. მან დაახასიათა მიცვლებული, როგორც შესანიშნავი მხედარი, რომელმაც ღირსეულად მოახდა ვალი თავის ქვეყნის — საქართველოს, და მეორე ირე სამშობლოს — საფრანგეთის წინაშე, უსრევა უცხოეთის მიწა არ ყოფილიყოს მისთვის მძიმე.

უტხოვლ სტუმრებს, ქართველები „ნაპატიო ღვინით“ გაუმსახორდლენ ლეილის ქართულ ამუღის დარბაზში. სიმუღრს იყოს სხედმა მისი! **ირაკლი ჯავახიძე.**

† სიომონ (იოს) კობიაშვილის ხსოვნას.

1976 წელმა სასტიკი იერიშები მოიტანა ჩვენს ძველ ემიგრაციაზე; გარდაიცვალა ქართველი ქალის დიადი სახის სიცოცხლეშივე სიმბოლოდ ქეუელი, თამარ პაპავა; დავვაობლა უდიდესი რუსთაველოლოგის, ვიქტორ ნოზაძის სიკვდილმა; სამუდამოდ დაღუბდა მგოსან გიორგი გამყრელიძის ქნარი; სიცოცხლე მოესპო საქართველოს უფლებების დამცველ — ტრიბუნებს; ელისე პატარიძის ლეიან ზურაბიშვილს, სევერიანე ქირაქაძეს, მიტო სინჯავიშვილს; უღობველმა სიკვდილმა არ დაინდო თინე უკვდავი იუნიკერთა საუკეთესო წარმომადგენელი, როგორც ვანო ვაჩხაძე, ვანო ნანუაშვილი, ალ. კინწურიშვილი და სიცოცხლით და იმედებით აღსავსე სიკო კობიაშვილი.

სიკო კობიაშვილს პირველად შეგხვდი თბილისის რეალურ სასწავლებელში 1918 წელს. მეშვიდე კლასის მოწაფე, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის მაღალი, წარმოსადგეი ყმაწვილი, საერთო ყურადღებას იქცევდა არა მხოლოდ თავისი გარეგნული სილამაზით, არამედ აგრეთვე თავისი ნიჭით, ეროვნული შეგნებით და ზრდილობა — თავაზიანობით.

1918 წელი იყო ხანა მკვდრეთით აღდგენილ საქართველოს პირველად საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისა, მისი საკუთარი სახე-მეობის გამოჩენისა. ეს იყო აგრეთვე ხანა სამკვდროსსიცოცხლო ბრძოლების წარ-

მოგებისა. ქართველი ახალგაზრდობა მთელი თავისი არსებით გრძობდა-ვანიცილიდა თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილება-ტკივლებს და ამიტომაც ხშირად, ნაცვლად სკოლის მშვიდობიან კედლებისა, მიეშურებოდა ამა თუ იმ საქართველოს საზღვარზე მოულოდნელად მომხდელი ერთის წინააღმდეგ საბრძოლველად. სიკო კობიაშვილი მტრის პირველთაგანი იყო ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის დამცველთა შორის.

1919 ის უკვე იუნკერთა სასწავლებელშია. ბავშვობიდანვე სამხედრო წრეებში აღზრდილი, ყოფილი კადეტი, თავისი ბუნებით და გარეგნობით ის თითქოს გაჩენილი იყო სწორედ სამხედრო მოწოდებისათვის.


1921 წლის თებერვლის დღეებია. პაწია საქართველო თავგამოდებით ებრძვის მუხანათურად მის საზღვრებში შემოპირულ ჩრდილოეთის ძალებს. ქართველი იუნკრების ლეგენდარული ბრძოლები ტახახმლა-კოჯრის მთებზე გმირულ ამბად ვადავა თაობიდან თაობაში, ამაო ვამოდა ქართველ მებრძოლთა თვადიდება-თავგანზირება. საქართველო დამარცხდა და რუსეთი დაეუფლა-დაეპატრონა კვლავ ჩვენს ქვეყანას.

ქართველი მხედრების ნაწილი გაიხიზნა საზღვარგარეთ, რათა პირველ შემთხვევისთანავე ძალა-მოკრეფილი დაბრუნდეს სამშობლოში და ჩაებას მტერთან ბრძოლაში. სიკოც ამ ნაწილს ეკუთვნისა.

1922-1923 წ. სიკო კობიაშვილი ათინის სამხედრო სასწავლებელში იმყოფება, შემდეგ ის ვაღნოღის პროლენეთში და აქ წარმატებით ამთავრებს ვარშავის სამხედრო სკოლას, ის მიღწენილი იქნა ქალაქ გრულდშიონდის ცხენოსან ათასეულში. 1929 წელს, ის ესტუმრება ქალაქ ბიდგომში მცხოვრებ გენერალ ბაქრაძეს, სადაც შეხვდება სილამაზით და ქეუთი ვანთქმულ გენერლის ქალიშვილს, კიოსს. ეს შეხვედრა მალე დამთავრდება დაქორწინებით. ვინც ცხოვრობდა პოლენეთში ყველამ იცის, რომ ამ წყვილის გამოჩენა საზოგადოებაში ყველგან და ყოველთვის იყო ცოცხალი პროპაგანდა ქართველთა ჯიშის მშვენიერების დასამტკიცებლად.

1935 წელს, სიკო კობიაშვილი ამთავრებს გენერალურ შტაბის აკადემიის და განწესებულია ქალაქ ბიდგომში გენერალ გრემოტ სკოტნიციის ბრიგადის შტაბში. იწყება მეორე მსოფლიო ომი, გენერალი სკოტნიცი იღუპება პირველ დღეებშივე და სიკო კობიაშვილი აწინაშენება გენერალ ზაკრევესკის ბრიგადის შტაბის უფროსად. მას აქ უხვდება თანამშრომლობა გენერალ ბორ-კომოროვსკისთან, მომავალში ვარშავის ცნობილი აჯანყების ხელმძღვანელიანა.

თავის მოგონებებში გენერალი ზარევესკი შემდგენარად ახასიათებს სიკო კობიაშვილს: „როტმისტრი კობიაშვილი მხედრული სილამაზის განსახიერებას წარმოადგენდა. ის იყო მეტად შეგნებული და ფრიალ ნიჭიერი. პოლონეთში დაარსულა მან იუნიკერთა სამხედრო სკოლა



და გენერალური შტაბის აკადემია. შესანიშნავად იცოდა პოლონური ენა. საზოგადოებაში შესაფერისად მოქცევის სკოლენ, მისი დამოკიდებულება პოლონელებთან განი-საზღვრებოდა საქორეობის მიხედვით. სამაგიეროდ იყო მჭირრო კავშირში ქართულ საზოგადოებასთან. იყო მეტად სასარგებლო ოფიცერი. ოცნებობდა კავკასიაში დაბრუნებაზე. იგივე გენერალი, თავის წიგნის მრავალ გვერდზე აწინააღმდეგებს, რომ სიკო კობიაშვილი მუდამ იყო მასთან, არ მშობრობდა თვით დასტრეკეს ბრძოლის წუ-თებში, და მხოლოდ ომის უსარგებლო შემდეგ გამოეთ-ხოვა მას, რათა გაიზიაროს ქართველებთან ერთად მომ-ავალი მათი ბედი.

სიკო კობიაშვილი ცხოვრობდა ვარშავაში თავის ცოლ შვილთან როკა დაიწყო გერმანია-რუსეთის ომი. ტყვე-ებისაგან ქართული ლეგიონის შედგენისთანავე სიკო კო-ბიაშვილი ტყვეს თავის ოჯახს და ჩაუდგება სათავე-ში ქართულ ლეგიონის პირველ ათასეულს, რათა პირ-ნათოდ მოიხადოს თავისი ზნეობრივი და ეროვნული მოვალეობა და თავის უმცროს თანამემამულეთ გაუ-წიოს ხელმძღვანელობა, გაიზიაროს მათი ბედი და უბე-დობა; ყველამ ვიცით თუ როგორ დამთავრდა ეს წა-მოწყება.

მსოფლიო ომიდან უვნებლად გამოსული, სიკო თავისი ოჯახობით მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტა-ტებში და მალე მუშაობას იწყებს „ამერიკის ხმის“ ქარ-თულ განყოფილებაში.

საქართველოს თავისუფლება - ბედნიერების მომსწრე-მონაწილე, მგზნებარე, მებრძოლი გულის და სულის პატრონი, ომის ქარ-ცეცხლში დეაკაცებულ-გამოპრძ-მედილი, სიკო კობიაშვილი მართლაც რომ სასახლო შვილი იყო ჩვენი ქვეყნისა. და თუ ადამიანის ღირსებად ჩაითვლება დაჩაგრული სამშობლოს ერთფულეობა-სიყ-ვარული, მისი გათელილ უფლებების აღდგენის მარადი-ული სწრაფვა-სურვილი, ერის ღირსების, ყველგან და ყოველთვის დაცვა-სამსახური, შეიძლება თანამად ით-ქვას, რომ სიკო კობიაშვილი იყო ამ თვისებების რაინ-დული განსახიერება.

ამიტომაც არის, რომ მისმა სიკვდილმა გული დასწყვი-ტა, დაამუწურა არა მხოლოდ მისი ძვირფასი მეუღლე და შვილები, მისი მოყვარული სიმე-რძალი და შვილიშვი-ლები, არმედ ყოველი ქართველი, ვინც მას იცნობდა და მის ნათელ პიროვნებას მალა აფასებდა.

გიორგი ნაკაშიძე.

† გრიგოლ უჩაძე

წარმოშობით იყო ლეჩხუმიდან. მისი მშობლები, მი-წის ნაკლებობის გამო, გადასახლებულან ქ. სოჩის მიდა-მობეში, სადაც გაუმართავთ მეურნეობა საქმაოდ მძლავ-რი. მათი ორი ვაჟი, გრიშა და უფროსი ძმა მიწა — მიუ-

ბარეობათ კერძო სკოლაში, რუსის ოჯახში და ამრიგით მოწყვეტილი ქართულ სკოლას დადგომიან ვარსუბის გზას. ოთხი კლასის კურსის დამთავრების შემდეგ სკო-ლის გამგე ქალს, მეტად განათლებულ ადამიანს, როგორც გვიამბობდა გრ. უჩაძე, დაუბრუნებია მშობლები და ურ-ჩევია მათთვის შემდეგი: „ნუ დაგაიწყებდით რომ თქვენ ხართ ქართველი; მე გირჩევთ თქვენი შვილი გავ-ზავნოთ საქართველოში სწავლის გასაგრძელებლად, მომავლისთვის ასე უფლებიანია“-ო.

გრ.შაძე ჩამოუყვანიათ ქუთაისში, სადაც მან დაამ-თავრა ბრწყინვალეთ რეალური სასწავლებელი 1909 წ. იგი ბრუნდება ისევ სოხაში მშობლებთან იმ მიზნით, რომ დასვენების შემდეგ — აირჩევს რომელიმე დარგს და შევა უნივერსიტეტში, ან რომელიმე უმაღლეს სას-წავლებელში. „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა“-ო. ოჯახში მისულს ხვდება მტრიალი დედა მარტო-მარ-ტო! ოჯახის თავი ვადაუსახლებიათ ციმბირი და უფროსი ძმაც დევნილი გამზარა. ამნარად დაინგრა გ. უჩა-ძის ნაადრევად დაგვემილი მომავალი და იძულებული გახდა წასულიყო სამხედრო ბეგარის მოსახლეად.

აქედან დაიწყო მისი ბედი და უბედობაც. ადამიანი ბეჯითი, თავმოყვარე და ერთფული ყოვე-ლივე საქმისა, რასაც ხელს მოჰკიდებდა, მიდიდა თავ-განწყირამდე. ყველა უფროსის ყურადღებას იპყრობდა. მისი თავმდაბალი მუყაითობით, საქმის სიყვარულით და დაუზარებლობით.

იწყება პირველი მსოფლიო ომი. გრიშა მოხვდება ოს-ნალიეთის ფრონტზე, უნცროს ოფიცრათ გენერალ ლია-ხოვის განკარგულების ქვეშ.

ერთ-ერთ ბრძოლაში, ტრაპიზონის მიმართულებით (თუ არ ვცდები) ის, მთელი თავისი მებრძოლი ჯარის-კაცებით, სამხედრო დაზვერვის დროს წააწყდება მთის მეორე მხარეს, მტრის ჩასაფრებულ ძალას, რომლებიც თურმე შეტევაზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ; ატახილა საწინელი ბრძოლის კორიანტელი; მიხობზე-ლი კაცი არ დარჩენილა უჩაძის ნაწილიდან, — ისე შე-გაწყვდიოთ მტერსაო.

დახოცილენი შეუგროვებით და დაჭრილი რამოდენიმე კაცი ბათუმისკენ ვაგზავნიათ.

გენერალ ლიახოვს მოუთხოვია, თუ ცოცხალი არა — მკვდარი მოენახათ უჩაძე და მიეტანათ მისთვის.

მკვდრებთა შორის აღმოაჩინეს სასტიკად დასახიჩრე-ბული, მარჯვენა მკლავ მომტვრეული, მკერდში ორი ჭრილობით და სახე დამსხვრეული გრიგოლ უჩაძე.

გენერალ ლიახოვს თავისი მეუღლის ხელმძღვანელო-ბით, სასწრაფოდ ვადაუგზავნია თბილისში და ვადაურ-ჩენია ამრავალ სიკვდილისაგან.

უჩაძე — ნაცელად ერთი წილისა, კმაყოფილებდა ექ-სი თვის მკურნალობით, ბრუნდება ისევ ლიახოვის ნა-

წილში და მოითხოვს გაგზავნონ ფრონტზე. დაჯილდოვებული მრავალნაირად: ოქროს ხმლით, ანას ჯვრით და სხვა, განაგრძობს თავადღებს და ერთგულებას.

ომი შედის მიწურულში... იწყება ჯარების არევი-დარევი, ფრონტების მოშლა და დაკარიღება. გრ. უჩაძე უბრუნდება თავის სოხას, სადაც ჩემოავალიბებს ევრედ წოდებული „ხელიონოე დივიენიე“, რომლის ერთ მე-თაურთავანია თვით უჩაძე. იქიდან სვანეგებო პოლიტიკური დავალებით ჩამოდის თბილისში, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობასთან, რათა ამოუდგეს გვერდში ქართულ ჯარის ნაწილებს და საერთო ძალით შეუერთონ მომხმარებელ მტერს. რაც მოხდა შემდეგ ყველას კარგად მოგეხსენებათ, მხოლოდ მინდა ხახვი გაეუსვა იმას რომ გრ. უჩაძის მიზანი და მოქმედება სრულებით შეკავშირებული იყო. საერთოდ, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გრ. უჩაძე მიდის რუსეთში, ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში. იქ მას დააპატიმრებენ და თავს ამოკლავს „ბუტირაკაში“.

1922 წელს დაუძვრება ხელიდან კომუნისტებს და მიაშურებს ისევ საქართველოს და აქედან სტამბოლს, და იქ ჩვენი წარმომადგენლობას. სტამბოლიდან სხვა სამხედროებთან ერთად გადაგზავნილი იქნა პოლონეთში. საფრანგეთში ჩამოვიდა მხოლოდ ოცდა ოთხში. აქ მან შეისწავლა ტყის საქმე და მუშაობდა ოთხმოცდასამ წლამდე. უკანასკნელი ოთხი წელიწადი აბონდანის მოხელეთა თავშესაფარში დაჰყო.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქ დროს საავადმყოფოში, 18 გვისტოს 1976 წ.

დაკრძალულია ლევილში, ქართველ ძმთა სასაფლაოზე, რომლის შექმნაში მან მიიღო მხურვალე მონაწილეობა.


მსუბუქი იყოს მისთვის უცხო მიწა!

ნამეტია გოგუაძისა.

+ ლილი გეგელაშვილი — კ ა კ ა

ა/წ 22 ოქტომბერს, ქ. იტყეპოეში (დას. გერმანია), ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 59 წლის ასაკში, გარდაიცვალა ქალბატონი ლილი პაპე.

ლილის მამა — სიმონ გეგელაშვილი იყო დამოუკიდებელ საქართველოს გამოჩენილი მოღვაწე, საქართველოს დამარცხების და ოკუპაციის შემდეგ, სიმონ გეგელაშვილი მთელი თავისი ოჯახით (ოჯახობა — პელაგია, ქალიშვილები: ლილი, თინა და თამარ) გადმოიხიენეწა და დასახლდა გერმანიაში, სადაც გაიხარდენ და დაქორწილდენ სამივე დები. ლილი ვერ გამოიღო ბედნიერი, მან სულ ახალგაზრდამ მეორე მსოფლიო ომში დაჰკარგა ქმარი. ნუ-



გეშად დარჩა ერთადერთი ვაჟი — ულრიხი. მაგრამ ლილი აქაც დაიჩაგრა: ულრიხი უჭურნებელ სენით დაავადმყოფდა და 29 წლის ვაჟაკი გარდაიცვალა. უნუგეგო დედა, ბოლოს თავდაც: გოგუაძე და ავადმყოფობამ იმსხვერპლა.

ქალბატონი ლილი პაპე დიდი მოამბე და მსახური იყო ქართული კულტურისა გერმანიაში. ურლისსაც ვატიცებით უყვარდა თავის დედის სამშობლო — საქართველო, დიდათ იღწედა მისთვის და რომ დაცვოდა, ნიჭური ახალგაზრდა, ალბათ ბევრ რამეს გააკეთებდა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. შეილის გარდაცვალების შემდეგ დედამ თავისი შრომა გააორკეცა, რათა კიდევ უფრო დიდი წვლილი შეეტანა გერმანიაში, ქართული კულტურის ღირებულებათა პოპულარიზაციის საქმეში. მის უახლოეს მეგობართან, ნიკოლოზ ჯანელიძესთან ერთად, ლილი პაპემ გერმანულად გამოსცა „ქართული ზღაპრების“ და „ქართული სამზარეულოს“ წიგნები. ამ წიგნმა დიდი და კარგი გამოხმობურება გამოიწვევს, როორც შრესის, ისე ტელევიზიის მხრივ და ეს არა მარტო გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში, არამედ ყველა გერმანულ ენოვან ქვეყნებშიაც. თითქმის ყველა ერთხმად იწონებდა, როგორც ორიგინალურ მასალას, ისე თარგმნის ხარისხს და გაფორმებას. ქართული ზღაპრების პოპულარიზაციის მიზნით ქ-ნი ლილი ყოველ სამშაბათობით, 300 — 400 კაციან აუდიტორიაში კითხულობდა მის მიერ თარგმნილ ქართულ ზღაპრებს, ქალაქ ბად ზალცუფელენში. ხოლო ქართული სამზარეულოს საჩვენებლად ის ხშირად აკეთებდა ქართულ კერძებს და ეპარტიეობდა გერმანიის სხვა და სხვა წრეების წარმომადგენლებს. უნდა აღენიშნოთ, რომ „ქართული გამომცემლობა“ ზემოდ დასახელებულ წიგნების გაყიდვით შემოსულ თანხას მთლიანად უგზავნიდა ულრიხის სახელზე გერმანიის კიბოს სნეულებათა კვლევის ინსტიტუტს ქალაქ ჰაიდელბერგში.

იტყვოს ქალაქის მერისაგან ლილი პაპე მიწვეული იყო კულტურისა და ხელოვნების საზოგადოების წევრად. ქალბატონი ლილი იყო უაღრესად სათნო, კეთილი და უწყინარი ადამიანი, თანაც დიდი მოყვარული და გულმოწყაღე. მას შეეძლო კიდევ ბევრი სიკეთის დათესვა. განუხორციელებელი დარჩა კიდევ ბევრი გეგმა და პროექტი. უღობველმა სიყვდილმა აღარ აცალა, და უდროოდ შეწყვიტა მისი შინაარსიანი სიცოცხლე. მისი ნეშტი განისვენებს ქ. იტცკოეს ვალდერიდოვის სასაფლაოზე, მისი ძვირფასი შვილის და დედამამის გვერდით.

საუკუნო იყოს კეთილი ხსენება მისი!

კარლო ინსარიძე.

მწუსარამიტი ვაწუშაბთი:

15 მარტს, 1975 წელში, ქალაქ ელშორსტში (ნიუ-იორკის შტატი) გარდაიცვალა ნიკოლოზ ქებარდინი, (ოლგა ზაქარაიას ასული სხირტლადის მუღულე).

9 მარტს, 1973 წ. ქ. საუტ რივერში (ნიუ-ჯერსის შტატი) გარდაიცვალა და იქვე დასაფლავდა ევგენი კინწუ-რაშვილი.

1975 წლის 8 ივლისს, ქ. ვინელანდში (ნიუ-ჯერსის შტატი), გარდაიცვალა **შუღლიანშვილი გიორგი**. დასაფლავებულია ადგილობრივად.

ა/წ 17 სექტემბერს, ქ. ლიონში გარდაიცვალა ნიკოლოზ მაჩაბელი. დასაფლავებულია ლიონში. ლიონს სასაფლაოზე.

ა/წ 19 ოქტომბერს, პარიზში გარდაიცვალა **ვაბრიელ პაიკაძე**. დასაფლავებულია ბანიოს სასაფლაოზე.

ა/წ 22 ოქტომბერს, ქ. იტცკოეში (გერმანიის ფედ. რესპ.), 59 წლის ასაკში, გარდაიცვალა **ლილი პაპე — სიმონ გველაშვილის** ასული. დასაფლავებულია ადგილობრივად.

ა/წ 15 დეკემბერს, ქ. არჰანგელსკში (ნიუ-იორკის შტატი) გარდაიცვალა **ვალერიან (ვლია) ზაქარაიძე**, (დამოუკიდებელ საქართველოს მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ ალექსანდრე ზაქარაიძის ვაჟიშვილი).

დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ ენუგეშო ჭირისუფლებს.

1976 წლის 24 აგვისტოს, ქ. კარდიფიდან (ინგლისი), ბანიოს (პარიზის გარეუბანი), სასაფლაოზე, გრიზა მგალობლიშვილის საფლავის გვერდით, გადმოსვენდა პოლკოვნიკი **ლადო ლაღიძე**, — ყოფილი იუნკერი, რომელიც გარდაიცვალა ქალაქ კარდიფში 20 თებერვალს 1960 წ.

კირა კობიაშვილი, ელისაბედ და ზურაბ კობიაშვილები, მაიკო და ნიკიტა შერემეტოვიევიძე, მამუკაშვილები უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველას ვინც თაწ/მამის და ბაბუას — სიამო კობიაშვილის გარდაცვალების გამო.

†
პროფესორ მიხეილ წამათლის და ბრიგოლ რობაქიძის

ნეშტები, ამ წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან განისვენებენ სოფ. ლევილის ქართულ სასაფლაოზე გადმოსვენების თაოსნობა ეკუთვნის ქალბატონ ნინო და ბ-ნ კალისტრატე სალიებს და ხარჯებიც მათ გაიღეს.

მიხეილ წერეთლის და გრიგოლ რობაქიძის პანაშვილი.

ქალბატონ ნინო სალიას ხელმოწერით დარიგდა ცნობა, რომ კვირას, 21 ნოემბერს, პარიზის ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქნებოდა მიხეილ წერეთლის და გრიგოლ რობაქიძის პანაშვილი.

ამ ორ დიდებულ ქართველის პანაშვიდს, საპატიო მიზეზის გარეშე, ქართველი არ დააღვლებოდა, მაგრამ პოლიტიკურ გადმოხვეწილთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა არ დასწრებულყო. რადგანაც ცნობილი ამბების გამო, ქ-ნი და ბ-ნი სალია დამგობილი იყვნენ, და ასეთი მანევრით, რეაბილიტაცია მიუღებლად მიჩნეეს.

ახალგაზრდების ერთ ჯგუფს კი უფრო რადიკალური პროტესტი გადაუწყვეტია: მისულან და ეკლესიაში შესვლა გაუძნელებიათ ცოლქმარ სალიებისათვის, რათა ამრიგად გამოქვამენებიათ თავიანთი შეურაცხლობა.

ზოგერთი გულწრფელი და საქმეში ჩახუხედავი იქ დამსწრენი ასეთმა მოქცევამ გააკვირვა და საყვედური გამოთქმეს.

განმარტების მზინით, ამ ახალგაზრდებმა, წერილით მიმართეს საზოგადოებას.

ვიფიქრო, რომ პარიზის გარეთ მცხოვრებ ქართველებისათვისაც ეს წერილი საინტერესო იქნებოდა, ამიტომ გადაწყვიტეთ მისი ქართული ნათარგმნის დაბეჭდვა, მაგრამ ჩვენმა ასოთაწყობმა, ბატონმა ილია თაყაიშვილმა ის ტენდენტურად და სათვისტომოს დაშლის საშუალებათა ჩათვალა და მის აწყობაზე უარი გვითხრა.

ძიულებული ვიყავით დავმოჩინებოდი.

არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ვამართლებთ ძალის გამოყენებას, პიიქით: ჩვენ სასტიკად ვგმობთ მას. მაგრამ თავისუფალ და თავისი თავის პატივისცემულ პრესის დანიშნულბაბა მომხდარ ამბის ინფორმაცია. ჩვენ ასევე დაბეჭდავდით ქალბატონ ნინო და ბატონ კალისტრატე სალიას მიერ მოწოდებულ ახსნა - განმარტებასაც.

ო ქ რ ო ს ს ა წ მ ი ს ი

რედაქტორი ზვიად გამსახურდია.

№ 1. თბილისი, მაისი 1975 წ.
(გაგრძელება. იხ. ო. ტ. №№ 11—12 და 13.)

ლენო ქართველი.

უ რ მ უ ლ ი

ბერიკაცივით მიდის ურემი,
ნესტიანი და ძვალნაცივით,
ჩამოუყრიათ ხარებს ყურები,
ჩრდილს ისწორებენ აკაციები.

გაძარცულ ზვრებში კანკალებს ქარი,
გაქრა სიმწიფე და სიმზურავლე,
გადაეფინა მთებს ნახანჯლარებს
სიწითლე, როგორც დაღვრილი მთვარე.

მიდის ურემი, სული ქართლისა,
მალე რუსული ზამთარი მოვა.
წინაპრის საფლავს დაჰკარგავს ნისლი,
და უსაშველო იქნება თოვა.

მიდის ურემი,
მიდის ურემი,
ჩემი ტკივილით შემობურული,
უნდა შეეცვალოთ აბურები,
რომ უსასრულოდ
ჟღერდეს ურმული.
უნდა შეეცვალოთ აბურები...

ჰოი შენ ჩემო ბაგასწორო!

კათოლიკური ეკლესიის
ლოცვით გაუღნითილ
ვერობის სურნელდაფრქვეული კედლების ფონზე,
ნარიჯნისფერ ქარში იდექ,
კრიდა, მელოდი.
უმშენიერეს ზღაპრებიდან მზირალ თვალეზში,
ქართულ თვალეზში,
იწვა ნალველი
დიდი ქალაქის მტკივნეული ერთფეროვნება.
ჰოი შენ ჩემო ბაგასწორო
მომეცი ხელი,
მაგრად ჩამქიდე
და ქარდაქარ წამოიდი ჩემთან.

ყურს ნუ დაუგდებ, ყალბია ხმები;
ვილაღ უნიჭო ორღანზე უკრავს,
ირევა ფიქრი,
ცივია ფოთლები,
ხეებში როკავს აცხცახება
და შენი თმები,
შავი თმები, გლოვის კია არა
ამღულარების დროსაშავით მელამუნება.
ჰოი შენ ჩემო ბაგასწორო
მინდა გჯეროდეს
ყაყაჩობად შემოხიზნულ
ამ სისხლის ფასად,
რომელშიც ქართლის ცხელი მზე ჩადის,
მე შემძლია ამაყდ გითხრა,
მე შემძლია საქვეყნოდ გითხრა
წმინდა სიტყვები
ლოცვასავით წმიდა სიტყვები:
სამშობლო,
ერი,
თავისუფლება.
ჰოი შენ ჩემო ბაგასწორო
მომეცი ხელი.

~~~~~

ზვიად გამსახურდია.

მწუხრის პეიზაჟი.

ვჭერე საღამოს — ნიშბიანს, დანისლულს,  
ო რაგვარად ეუცხოვა ტანი სულს...

შენსკენ მომაქანებს ფიქრის ჩქარი წვა მე,  
რარეგ მეუცხოვა საკუთარი გვაში...

ვღუფვარ და არა აქვს ძალა ჩემს სტრიქონებს:  
ნისლიან ფიქრებში ქარი თუ მიგონებს...

რარეგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას,  
ნექტარი წაივლე და შხამიც იმდენი...

რარეგ ვეუცხოვე მიწის გაშლილ მკლავებს,  
დასცქერის გოლოგითა გაძარცვულ საფლავებს...

## მტკბარის მემორიალი

ნოვოსელი.

ციხე-მონასტერში ბარე ათი ათასი პატიმარი ვიყავით, მათ შორის ორმოცდაერთი ქართველი. მესამე წელი შემოსილულა იქ ყოფნისა, ჩვენ ქართველებს ცალკე გეკონდა როტა. მე დიდად გავიხარე როცა ლაგერის კომენდანტის ეიხმანის ბრძანებით მე დამნიშნეს ლამის დარაჯად, ქართველ პატიმრების როტაში.

როცა პატიმრები დაიძინებდნენ, მე ავიღებდი ჩემს ნიბლიას, ამავე წიგნის ინგლისურს, გერმანულსა და ფრანგულ თარგმანს და ქართულს ვადარებდი ამ სამ ენაზე თარგმნისს.

მე მაინტერესებდა უპირადად ზოგ ზოგი, ჩემთვის გაუგებარი ქართული სიტყვის გაშიფრვა. დღისით ჰუმორისტულ კედლის გაზეთს ვაღვნიდი, პატიმრებს ვართობდი ამრიგად.

საგანგებო კალიგრაფი მყავდა, ერთიც კარიკატურისტი.

ეს ამოხედი ფრიად გევართობდა პოლარულ გრძელ ლამებში.

გრივადი დღე და ღამე ღმუჯდა. ყინულოვანი ოკეანე დამშუღლ ლომივით ბრღვნიანდა. გემებისა და კატერების ბლავილი გვესმოდა, თოლიების ქუივილი. წამოვიდოდა ლამით ვეებერთელა აისბერგი, აისბერგზე წავეი იჯდა შემტყენებელი და მყერდზე მიხეტებინა თავისი პატარა. იმ წავეის განწირული ხმა დღესაც მიწივის ყურებში. არაქაელაგზე ჩვენს სევდამწარებულ არაგებობას მაგონებდა მისი ყოფა. ზედიზედ იხრცებოდნენ ჩემს ვარშუმო პატიმრები. ერთმა ქართველმა თავადმა აურანგოზიშვილმა შიმშილობა გამოაცხადა და 40 დღის შემდეგ გარდაიცვალა. ერთი ვინმე უბილავე ვაიქცა ლაგერიდან. ლაგერის უფროსი დადიენვა ცამეტი კაცი, ერთ პატარა კუნძულზე ეკვდერში შეასწრა და ათი კაცი მოუკლა მოტაცებული თოფით. ბოლოს ლაგერის უფროსის ტყვიამ ჩამატერია კბილები. როცა შეიკვიდნენ ეკვდერში, უბილავე მიწაზე ეგდო და ცრემლები ჩამოსილიდა. „ჰაი შე დედაკაცი“ დასკვილა უფროსმა, „არა გრცხვანია რომ სტირი?“ „ვაი რომ ტყვიებია აღარ ნაქვს, თორემ განანებდი თავებობას“ ამოსახა დაკრილია. უფროსს შეებრაღა და აღარ დახვრიტა.

ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება და ორმოცი ქართველი გემში ჩასვეს და საღდაც წაიყვანეს.

იმ ღამეს ვაცციდები და პოლარული ციხეა შემეყარა. ექთანი ნატაშა სიცხასაზომს მიმაღავდა მაგრამ ერთი ორჯერ თვალი ვკიდე 40 და ხუთი ხაზი მქონდა.

დღე და ღამე სიხმრებში ვიყავი. მოდიოდნენ შავოსანნი ქალნი და კაცნი ხარის ლიღინით. თმებგაშლილი დედაჩემი წინ მიუძღოდა მათ. ხანაც ძილფეხიზლობდე ვაუხუნებამდის. ოთხი მკლავმავარი ვაყვაცი ვარს შემოადგებოდა ჩემს წარს. ამწევდნენ და დამწევდნენ, დიდხანს მარწევდნენ, მერმე ხელს შემწევებდნენ, წარბზე დამავლებდნენ. როცა თვალს ვაუხებელი არავინ სჩანდა, ვავიღვიმებდი და პირი სავსე მქონდა ვასრესილი ბაღინჯოების სისხლით.

ექთანი ნატაშა გულმოდგინეთ მივიღია, ამიტომაც გამოვჯობინდი. ერთ საღამოს ნატაშა შემოვიდა და მითხრა: ვილაც ახმხი თათარი გეწვიათო.

ბარაკში შემოვიდა ვაგვერემანი, ბექბრტყელი ვაყვაცი, რომელსაც ტყავის ქურტი ეცვა.

სტუმარი ჩემს თავით დიხხარა და ჩურჩულით მითხრა: „სალამი კონსტანტინე ბატონო“, მითხრა მან ქართულად:

ვინა ბრძანდებით — მეთქი?

მე ვახლავართ რაკიმ ექტილოვი, კახახ-ბორჩალოელი, ერეკლე მეფის ახნაურყოფილის შვილი-შვილის-შვილი“.

ეს უკანასკნელი სიტყვები მან რუსულად მითხრა.

„დაბრძანდი“ ეუთხარი მე მას თავაზიანად და რაკი დასაჯლომი ადგილი არსად იყო, იგი ჩემი წარის ბოლოს ჩამოჯდა.

„ჩვენ აქ ორმოცდაათამდე აზერბაიჯანელი მუსავატისტი ვართ, დღეს ვავიგეთ, რომ ორმოცი ქართველი პატიმარი საღდაც ვაუგზავნიათ, თქვენ და დარჩენილხართ მარტო, თუ ნებას მოგვეცემთ, ხელს დიდოს მოვალთ და ჩვენს როტაში წაიყვანთ“.

მადლობა მოვახსენე.

მეორე დღეს მოვიდა ჩემთან მთელი როტა აზერბაიჯანელი პატიმრებისა, მოიტანეს ერთი გრძელი, გრძელი საკაცი, ზედ დამწვინეს და „ჩინგის ხანის“ სიმოერით წამოიყვანეს თავიანთ კამერაში.

მიხედებით თუ რა რიგად მესიამოვნებოდა მე ეს სიმღერა. მე გულზე ხელბედაჭობილი მიყვავიდი ამ პროცესიას და ჩემს ვუნებაში მელიმებოდა.

ყოველ დღე „ფილაეს“ მიმზადებდნენ, დენატურატის



არაყს მასმედონენ, სიმღერებითა და ანეკდოტები: მარ-  
 ცობდნენ. სამუშაოდან შობრუნებულნი მღეროდნენ ნაღ-  
 კლიანი, ფრად ნაღვლიანი ხმითა. ღამობობით ნარდს  
 თამაშობდნენ, ხანაც აზურბაიჯანულ ზღაპრებს ყვებოდ-  
 ნენ, რაპში იყო ჩემი თარჯიმანი, იგი მუწყებდა ამ  
 მშვენიერ ზღაპრებს, რომელთაც ჩვენ ყველანი ვადავ-  
 ყავდით სინამდვილის სამანებს ვადალმა.

ამ აზურბაიჯანულ როტაში იყვნენ მუსავატელები,  
 უმეტესნი მათ შორის სამხედრონი. ყველანი, თითქმის  
 გამოუკლებლად იყვნენ პანთურქისტულად განწყობილი  
 ადამიანები, რომელთაც სერიოზულად ფიქრობდნენ, რომ  
 ოსმალეთი, ეგ იყოს თითქოს კაცობრიული ცივილიზა-  
 ციის ფორპოსტი და გულდაჯერებით ამტკიცებდნენ, რომ  
 ისმალეთმა თუ გაიმარჯვა, კავკასიელი ხალხები თავი-  
 სუფლები ელორებინაო.

მე მათ საუბარში არ ვერეოდი, ციებისაგან ვაგნე-  
 ბულს საამისო ძალაც არ მქონდა.

ამ პატიმართა შორის იყო ერთი, წვერწითელა კაპი-  
 ტანი, რომლის სახელი მე არ დამამახსოვრდა. იგი განსა-  
 კუთრებული მჭერმეტყველობით იცავდა პანთურქის-  
 ტულ იდეებს და ამტკიცებდა: ერთხელაც იქნება, რუ-  
 სეთს ბოლოს მოვუღებთ და კავკასიის ხალხებს ვავათა-  
 ვისუფლებთო.

ერთ დღეს მე თავი წამოვწიე ბალიშიდან და ვუთხარ-  
 ი, რომ ოსმალეთი იყო, არის და იქნება მეტი მსოფ-  
 ლიო რეაქციის და აგრესიის ბუდე. სხვა კომპლიმენტე-  
 ბიკ არ დაეკვლ ოსმალეთსა და მის ისტორიას, მან დიდ-  
 ხანს მისიზნა, მისიზნა და არაფერი მიმასხვდა. მხოლოდ რა-  
 ჰიმ ვეწილოვმა ეს მითხრა რუსულად: „კონსტანტინე ბა-  
 ტონო, თქვენ ცდებით, ქართველები და თურქები მუდამ  
 მეგობრები ვიყავით, მაგრამ იმ გაოჩრებულმა რუსებმა  
 წაგვიღეს. თქვენმა ერეკლე მეფემ რუსებს ჩააბარა და-  
 რიალის ციხის კლიტენი და ამ გზით ჩვენ ორივე ხალხი  
 ერთმანეთს ვადავკიდა და დაგვლუხა“.

მე უკვე დავიღალე სამ პაეკრობისაგან, პირზე საბანი  
 ვადავიფარე და დავდუღდი.

მეორე დღეს მე ვნახე საშინელი რამ:

ის აზოვანი კაპიტანი, სამართებლით წვერს იპარსავდა,  
 კლვის უსრავესად მან მაღლა ასწია თავი და სამართე-  
 ბელი ყელზე ვამოსიდა. ამ მშვენიერი კაცის თავი ანახდა  
 ვადავირადა და სისხლის ჩქერადმა შემოგავაშხევა.  
 თავიშობრილი სხეული სავარძელში დარჩა.

დღესაც მახსოვს ამ კისერ გამოღადრულ კაცს ისეთი  
 ღიად დარჩენილი თვალები მქონდა, თითქოს უხაროდა  
 ამ ცხოვრებიდან ვასლა.

ორმოცდაათი კაცი დავმხო მისი ცხედრის წინაშე და  
 საოცარი, დამაღონებელი ხმით იმღერეს „ჩინგის ხანი“.

მე დასწყველე ის დღე და ჩემს გუნებაში ვამობდი:  
 „ნეტაც ეს მზავი არ მენახა და ჩემს კამერაში მარტოხელა

მომკვდარიყავი—მეთქი.

მეორე დღეს, დილაადრიან გამაღვიძა რაჰიმ ვეწილოვ-  
 მა და ყურში ჩამჩურჩულა: ვინმე ჩეკისტი, პანიტოცკი  
 გეწვიათო.

მე ოდნავ შეეშვოდი: ჩეკისტს აწი მაინც რალა უნ-  
 და—მეთქი ჩემვან?

კამერაში შემოვიდა მხარბეკიანი ვაეკაცი, მხედრული  
 სლაბი მომცა და შემეცითხა: „თქვენ ბრძანდებით ბერ-  
 ლისის უნივერსიტეტის დოქტორი კონსტანტინე გამა-  
 ხურიათ?“

მე ვახლავართ—მეთქი, მივუგე.

— ამ ერთი კვირის წინთ გარდაიცვალა ჩვენს ლაგერ-  
 ში, ჩემი მეგობარი ერიკ ღომბროვსკი და დამობარა: ამ  
 ლაგერში ყოფილა ჩემი სიყრმის მეგობარი, დოქტორი  
 გამახურია, რომელმაც მე დიდი თანადგომა გამოიწია  
 ბერლინში, როცა მე იქ ვიმყოფებოდი, როგორც პოლო-  
 ნელი ემიგრანტი, მე გთხოვთ ამ კაცს ჯეროვანი პატივი  
 მიავართო“.

მე დიდხანს არ მიფიქრია, მომაგონდა შესანიშნავი  
 ადამიანი, პოლონელი ემიგრანტი ერიკ ღომბროვსკი.

1928 წელი იდგა. იმაჟამდ ჯერაც არ იყო მკაცრი დის-  
 ციპინა ლაგერებში (ისეთი, როგორც 30-იანი წლები-  
 დან დაიწყო), ნაცნობობით ბევრი რამ ხდებოდა, ამიტომ  
 პონიატოვსკი დამპირდა: ლაგერის უფროსს შევეთანხ-  
 მდები, თქვენ გადავიყენონ ციხე-მონასტრის ტერიტო-  
 რიიდან და ნება მოგვცენ თავისუფლად იაროთ სოლო-  
 კის არქიპელაგის მთელს ტერიტორიაზედ, ისიც გავიგე,  
 რომ პატიოსან სიტყვას ჩამოგართმევენ, ახსად ვაიქ  
 ცეთ აქედან“.

როცა პონიატოვსკი წავიდა, მე დავეფქრდი. მთელი  
 ღამე არ მძინარ სიხარულისაგან, მაგრამ გულის სიღრმეში  
 მაინც ღმდამობდა ასეთი აზრი: ხომ არ მატყუებს მე-  
 თქი ეს კაცი?

სრულიად ახალი ერა დაიწყო ჩემს ცხოვრებაში. სამი-  
 რადე წლის შემდეგ ნაწილობრივ ვიგევე თავისუფლება.  
 ყანტურში ჩემი ბარჯიანად ვადამუყვანა მონასტრის გა-  
 ლანვიდან და ის კაცი, რომელიც დღედაღამ ველანძ-  
 ლავდა ბრალიანსა და უბრალოს, თქვენობით შემესტ-  
 ვევა. ლაგერის უფროსის ბრძანებას ვასრულებო; მან  
 მიმიყვანა ერთ დაფებვილ ქოხში, დაბალი კარი შეიღო  
 და სთქვა:

„აჰა, ეს არის თქვენთვის განკუთვნილი კამერა.  
 იგი თავისი ხელით აიშენა გერმანელმა შპიონმა ვინ-  
 დამიერმა, მაგრამ ერთ ღამეს გაიქცა, არხანგელსკში  
 შეიპყრეს, აქ ჩამოვათორით და მე დაგხვრატე საკუთარი  
 ხელით“.

მე შემძრა ამ ამბავმა, ამ უბედურ ვინდამიერს მე კარ-  
 ვა ვიცნობდი, იგი არაკეთილი „შპიონი“ არ ყოფილა. ერ-  
 თხელ: იგი ჩემს აღრინდელ კამერაში მეწვია და მაიმბო:



მე ათი წლის პატიმრობა მქონდა, ახლა, როგორც ჩემს-  
ტმა პანიატოვსკიმ მიამბო, ლაგერიდან უნდა გადამიყ-  
ვანონ, არაინ იცის სად.

თუ შევიძელი უნდა გავიქცე, რადგან კარგად ვიცი:  
როცა აიწოლანს სადმე გადაიყვანენ, ეს „გადაყვანა“ ავ-  
რე ხდება: ლამე კატერინი ჩაავადებენ ვაითიკოსს, სამიოდ  
ტყვილ დაახლოები და ოკიანეში გადაუხდებენ.

ვახტერმა მარტო დამტოვა, მეორე დღეს დაიწყო უც-  
ნაური ამბავი, რომელსაც ჩვენ, პატიმრები, „თეთრებისა  
და შავების ომს“ ვუწოდებდით. შემოდგომაზე მეთო-  
ლიები სტოვებდნენ ციხე-მონასტრის გალავნებში მოწ-  
კობლ ბუდეებს. მოფრინდებოდნენ ყვავები და მყისვე  
დაეპატრონებოდნენ მათ.

გაზაფხულზე თეთრები მოაკითხავდნენ. იმ დღეს  
ვაიმართებოდა „ომი“. როგორც „თეთრები“, ისე „შავე-  
ბი“, ისე გავანებული იბრძოდნენ, ტუსალები მისწვდე-  
ზოდნენ და იჭერდნენ ხოლმე.

ჩემი ოთახის გვერდით აღმოჩნდა ერთი მოზრდილი  
კამერა, რომელშიაც ცხრა ვენერალი, სამი ეპისკოპოზი,  
ხუთი გუბერნატორყოფილი და ერთი კახაჯი პოლკოვ-  
ნიკი ისხდნენ; ეს ნაკარები ფრიალ გულშვიადნი იყ-  
ვნენ: მათ ვახტერი ასეირნებდა, მაგრამ ჩემსავე მათ აუ-  
ჭქონდათ სოლოგვის არქიპელაგზე მოძრაობის უფლე-  
ბა, და ამიტომაც ძლიერ ბრახობდნენ.

მათ ჩემი ვინაობა სკონდოდათ, მაგრამ როგორც უც-  
ნორ, ამითავლწუნეს, დამადლებულ საღამს ძლიეს შე-  
ლორსებდნენ. ბოლოს დამეჩვენა და ნარდის სათამაშოთ  
ნეპატივებოდნენ ხოლმე. ამ კამერაშივე მოიყვანეს ერ-  
თი ქარშავი ნათავადარი პოტიომკინი, რუსეთის სინოდის  
ოზერპროკურორი, რომელიც რუსულს ფრანგულად აქ-  
ვედა. დღენიადა თვის დღეებებს სწერდა, თავი ძლი-  
ერ ამაყად ეჭირა.

ერთ დღეს მან დერეფანში შემეჩერა და მითხრა:

— იცი თუ ყმაწვილი, გუშინ მე თქვენ ჩაუწერეთ ჩემს  
დღიურში, როგორც ლამაზწერიანი ქართველი. ეგეც,  
უწყრდით, მოწყალეო ხელმწიფე, თქვენ ერთადერთი  
ქ. ა. გ. ჯ. ხარო, რომელიც ჩემს დღიურში მოხვდა.

მე მაღლა მოვახსენე ამ ნათავადარს ასეთი დიდი  
პატივისცემისათვის.

ამ „პატივცემულ გვაგებს“ თითქმის ყმად ჰყავდათ  
ერთი ბედწავი, ქოსა კაცი, რომელსაც მეტსახელად „ტე-  
ბერია“ ერქვა. ეს სახელი მიტომაქ მოუბოძებიათ მის-  
თვის, რომ იგი ყოველ წუთში „ტებერის“ ნაცვლად ---  
„ტებერჩას“ იტყოდა ხოლმე.

ტებერია მათ ყავასა და სადილს უშზადებდა, მად-  
ლობის მაგივრად ხშირად სცემდნენ მოტელებილ თავზე  
და პანლურსაც უთავაზებდნენ ხოლმე.

ტებერია მე მომეყვლა. რეკლივისტი ვანი, ყი-  
ველდე გამოიარებოდა ხოლმე ლაგერიდან უნდაც  
იგი მებადურებისაგან მოპარულ თევზებს უნდაც  
ხოლმე ეატტებეს.

ვანიას ოინაზობით დიხხაც ვერთობოდი, როცა კით-  
ხისაგან დავიღვებოდი, ვანია მიამბოდა თავის „სახე-  
ლოვან“ ბიოგრაფიას. ტყემი წავიღოდა, სოკოებს მოკ-  
რეფდა, საუკეთესოდ შესწავადა მათ და ორივენი შე-  
ვექცეოდათ.

ვანიას ოინაზობამ თვით ლაგერის უფროსი ვისმანსა  
დააინტერესა. ვანამ დღისით მზისით მოიპარა მთელი  
შეტრის სიგანე საათი ციხის ეზოდან. საგულსხმო ის  
არის, რომ იმ საათის ახლოს თოფიანი ვახტერი იღდა.

ვისმანსა საათი მოატანინა ვანიას და ბევრი იცინა,  
თურმე.

ვანია ნამდვილი ილლდუხონისტი იყო. ერთ დღეს მან  
მომიტანა ახალთაალი ჩექმები საჩუქრად.

ვეკითხებოდი: „სად იპოვნე ეს ჩექმები ვანია?“

„ერთ გერმანელ ვაჭარს მოვპარე მესამე როტაში“.

„არა ჩემო ვანია, ეს წალები ისევე მის პატრონს მიუ-  
ტანე... მე ხომ არ შემძლია ნაჭურდელი ნივთი მივით-  
ვისო. გარდა ამისა მე მარტო ქართულ წალებს ვიცავა“.  
„რასა ბრძანებ ბატონო, სულ ერთია, მაგ გერმანელ  
შპიონს მაინც დახვრეტენ თურმე ამ დღეებში“.

ვანია გაჯანჯვლა, მაგრამ მე უკან დაუბრუნე მის ის  
ჩექმები.

ერთ დღეს, პერმელი გენერალი მეწვია და მთხვა  
ნარდის სათამაშოდ გავყოლოდი.

ნარდის თამაში რომ მოთავდა, ახლა, ჩამაცივდნენ გე-  
ნერლები და გუბერნატორები: ჩვენ ბებრები ვართ და  
ჭიდაობა არ შეგვიძლია, მოდი თქვენ და პოლკოვნიკ  
სერგოვმა იჭიდავეთო.

პირველი შემოტევა მისი ძლიეს ავიტანე, მერმე რაკი  
ძლიერ მოვიტანე, სარმა გავკარი პოლკოვნიკს, იგი წა-  
იქცა და ლუმელის კიდეს მიახალა თავი. მის მოტელე-  
პილ თავიდან სისხლმა იჩქეტა. მე შემებარალა მოწინააღ-  
მდეგე, მიწვედი და ავაყენე.

გაბორიტებული მომეჭრა და ცემა დამიპირა.

მე ავრე ვუთხარი: აქამდის გეთამაშებოდით, ახლა  
გცემთ-მეთქი. პირველი გენერალი მოგეჭრა და გავვა-  
ხავა.

ეკირა ისე გავიდა, მე მათ კამერაში არც შევსულვარ,  
მე და პოლკოვნიკი და მისი მეგობრები ყოველდე  
გზედობლით სამზარეთლოში, სადაც ზოგი ყავას იდუ-  
ლებდა, ზოგი ტებერჩას თავზე ადგა უხორცო ბორშის  
დამზადებისას.

ჩვენი წაკიდების შემდეგ, პოლკოვნიკ სეროვს დასჩემ-  
და: მოსკოვურ გაზეთს გახსნიდა, ენუქქისი, ორჯონიკი-  
ძის, ან რომელიმე ქართველის გვარს ამოიკითხავდა თუ



არა, წარამარა დედას აგინებდა მათ და მთელ საქართველოს.

ერთხელ მე მივმართე გენერალყოფილებს, სეროვის გასაგონად: „ამ ლაგერში, მეც ისეთი პატიმარი ვარ, როგორც თქვენთაგანი ყოველი, მოდი მომეტებულად ნუ გავიმწარებთ ისედაც გამწარებულ ცხოვრებას. ურჩიეთ პოლკოვნიკ სეროვს მოეშვას საქართველოს ლანძღვას, თორემ მე იძულებული გავხდები საკადრისი პასუხი გავცე“.

ამის თქმა და რაჰიმ ექილოვი შემოვიდა, ხოლო სეროვმა მხერა გაუმართა გენერლებს და დაიღრიალა: მე მაგ ქართველ შვიონს ხმას არა ვცემ, ვისი რა საქმეა მე ვის ეაგინებ?“

რაჰიმ ექილოვი აღშფოთდა, პოლკოვნიკ სეროვს მიუვრა და უთხრა: „ენი მოგახსენათ, ბატონი გამსახურდია შვიონი იყავს თითქოს?“

„აბა მე რად არ მიშვებენ სასიეროდ ამ კუნძულზე ჰა?“ რაჰიმმა მიუთვია:

„ბატონი გამსახურდია მწერალია და გასაგებია პატრიცის რომ სცემენ“. სეროვი აღუდღუნდა:

„მწერალი, მმ მწერალი, მაგის დაწერილი ვის უნახავს? შვიონია და ეგ არის“.

ესა თქვა სეროვმა, მე ყავადანს ხელი წაავლე და ვუხეთქე მოტვლებილ თავზე.

სეროვი ტყუა მესროლა, მაგრამ მე ტაბურეტი ვიფარე და ავიცილენე. რაჰიმმა ეცა სეროვს და შეპკრა.

ერთბაშდ სამხარეულოში წმომოვარდა პონიატოვსკი და სამი ჩეკისტ. კომენდატურაში წავასხეს მე, რაჰიმმა, სეროვი, მოწმებდა გენერლები და გუბერნატორები.

მე დამკითხეს, მაგრამ არ გავთქვი ჩხუბის მიზეზი. პონიატოვსკიმ იძალა, კარცრით დემუქრა სეროვს. დამპირდა თუ ნამდვილ მიზეზს გავიხიბლეთ კარცერში არ გავაგზავნიოთ.

სეროვი მოტყუვდა, აღიარა: საქართველოს ეაგინებდლი, ამიტომაც ყავადანი მესროლა გამსახურდიამ. ეს საქმე ლაგერის უფროსს ეიხმანს მოხსენდა.

მე იმ დღესვე გამანთავისუფლეს, ხოლო სეროვს ერთი თვით კარცერი მიუსაჯეს. ეს კარცერი იმყოფებოდა მახლობელ სამრეკლოზე. დასჯილს ყოველ დღე წყლით სავსე ორი ვედრო წყალი უნდა აეტანა სამრეკლოს სამას სამოცდახუთ კიბის ხარისხზე და ძირს ჩამოესხა.

ორმოცრადუსიან ყინვის დროს წყლის ორევისას სეროვს ფლტკეების ანთება დაემართა და ორიოდე თვის შემდეგ გარდაიცვალა. ეისი გავიმა ჩაადვს ე. წ. „მშათა სასაფლაოში“. ეს იყო უზარმაზარი ორმო ორასი მეტრის სიგრძისა და ათი მეტრი სიღრმისა. რაკი სოლოვკაში ცხრა თვე ზამთარი იყო, გაყინულ მიწას ვეღარ თხრიდნენ, ამიტომაც პატიმართა შორის მიცვალებულ

ლებს ამ ორმოში ჩაადვებდნენ და ფიცრებს გადაადვებდნენ ორმოს.

ერთ დილას შემკრთალმა ტეპერიამ გამაღვიდა და მიჩურჩულა: „ბატონო, არ შეშინდეთ, მოვიდა ის პოლონელი ჩეკისტი და მომთხოვა თქვენს ოთახში შემომეშვა“.

— შემოიყვანე-მეთქი — ვუთხარი ტეპერიას.

პონიატოვსკის ძველებური ბერდანის თოფი ეჭირა ხელში. მეკითხება: „ის ჩერქეზული ძაღლი ლაიკა თქვენთანაა?“

მე ჯერ გონს ვერ მოვედი და ბოლოს ჩავიღუდუნე: „ტეპერიამ მომგვარა ის ძაღლი გუშინ, გუშინ იქ ჰყავდა სამხარეულოში“.

ამ ლაიკის ისტორია ასეთი იყო. იგი დარჩა ერთ ნაყაჩალარს, ჩერქეზს, ის უბედური დახვრიტეს და ძაღლი მე შევიერდომე. ლუკმას ვუყოფდი, ტეპერიას საგანგებოდ უშხადებდა ტყუილ ბორძხს.

პონიატოვსკიმ ჯიბიდან ამოიღო არაყი. ჩვენ ვისაუზბეთ, ცოტა არაყიც დაველიეთ და ტუნდრებისკენ გავემართეთ, თან მიგყავდა ჩემი ლაიკა.

ჩრდილოეთსაც გააჩნია თავისებური სილამაზე. ბუნების უნაყოფობას დახედეთ: გაყინულ ტბებში დაგოავადნენ გარეული იხებები და მათი ნამატი. ისინი გაციბულინი შემოგვცქეროდნენ. ამ უჯაჭვიელ ტყეებში ჯერ არვის სმენია თოფის ხმა და ცულის ჩქამი.

ჩრდილოეთს ირმები გვხვდებოდნენ გზადაგზა. გიშრიდერი თვალის შემოგვაშტერებდნენ და ადგილიდან არ იძვროდნენ. ეს შვენიერი ირმები — „ლოს“, იშვიათი სილამაზით შეუჭვია არსთა განმრიგეს.

პონიატოვსკიმ ფრთხილად გამატარა გარდი-გარდმო დაგებულ ძელეებზე, — მაფრთხილებდა ფეხი არ გადაგიცდეს, თორემ აქ ისეთი ჭიბობებია, ცხენიანი კაცი გაუჩინარდებოა მათში.

პონიატოვსკი არ აპირებდა ირმის მოკვლას, რადგან სხვა არა იყოს რა, ჩვენ თუნდაც ერთსაც ვეღარ მივათრევდით ცხენ-მანასტრამდე.


ხოლო იხების გამო, ეს გამოცდილი მონადირე ასე ამბობდა: — ამ ზამთარში იხეი მჭლეა და ძაღლიც ვერ დაღეპავსო მის ხორცს.

ბოლოს ერთ ტევეს მივაღექეთ უზარმაზარი ნაძვებით დამშვენებულს. ყოველ მათაანს ცხრა კაცი ვერ შემოაწვდნენდა ხელებს. მე ამოღენა ხეები საერთოდ არსად მიანახავს.

პონიატოვსკი შესდგა ერთი უშველებელი ნაძვის მახლობლად და მიჩურჩულა:

„ხომ ხედვ კონსტანტინ, ეპე, მწვერვალზე ზის როჭო. ახლა უყურე რა ჰქნას შენმა ლაიკამ“.

ამის თქმა და პონიატოვსკიმ, თითების ტაკანით ანიშნა ძაღლს და იგიც მყისვე გაიქცა და იწყო ნაძვის გარშემო სირბილი და ყეფა.



პონიატოვსკიმ უკვე ხმაშალა მითხრა:

„ეს ბედშავი როჰო ისეთი სულელია, მას აგრე ჰგონია ის ლაიკა აფრინდება ნაძვის წვერზე და მას ცეცმა“.

ახლა ბერძანის თოფი ხელში შემომიჩინა მან და მითხრა: — ესროლიე

ტყვია ნაკრავი როჰო მიწაზე დაეცა, ლაიკა მივარდა, მაგრამ არ ჩაუტილა.

ერთი საათის განხვავლებაში, პონიატოვსკიმ სამი როჰო მოჰკლა. ახლა კვლავ შემომთავაზა თოფი, მაგრამ მე მუდამ წყსად მქონდა: ფრინველისა და ნადირის უზომო მუსერისაგან თავი შემეცავებინა... ტეპერიჩამ და ვანამ როჰოები გაუტეტეს, ნანადირევი შევწვი და უჩვეულოდ მოვიხინეთ; რაჰიმ ექვილოვეც დავატყვეთ.

პონიატოვსკი რაჰიმ ექვილოვსკად დაუმგობრდა. ერთ დღეს, უთენია, გამოუშვა მან რაჰიმი ლაგერიდან, ცოტა ხნის შემდეგ თავათაც მოვიდა პონიატოვსკი და თავისი თოფი მომიტანა.

ამ ჯერად მე და რაჰიმი თხილამურებით გავემგზავცრეთ. რაჰიმს ძლივს ვასწავლე თხილამურების ხმარება. მისი თხილამური მოკლე იყო და ვაგლახად გააფრავებული. მე მქონდა სამი მეტრის სიგრძე ფინური თხილამური, ამიტომაც რაჰიმი უკან მრჩებოდა. ბოლოს მივძლიერე ერთ ნაძვენარს, თითო როჰო მოვივანირეთ და ციხისაკენ გამოექანდით სასწრაფოდ, რადგან უკვე ბნელდებოდა და გზის გაკვლევა მისჭირდებოდა.

ბარე ორი კილომეტრით ჩამოიჩნა რაჰიმი, — მე მივალწვი ციხისმიჯვარის შემოგარენადის და აქ შემემთხვა უცნაური ამბავი:

• იმ საღამოს მე განვერიდე სწორ შარა გზას და ციხე მონასტრისკენ მიმავალ ბილიკს მივეყვი. ერთბაშად მთლად ჩამობნელდა, მე გზა დავკარგე და სწორედ იმ სასაფლოსკენ წავსულვარ, რომელშიც მიცვალებულ პატიმრებს ჰყრიდნენ ხოლმე.

ერთბაშად ცალი თხილამური გამოტყდა, უხარმაზარი ფიკარი ჩატყდა და ბარე ათი მეტრის სიმალიდან ჩავყარდი აურაცხელი, გაყინული მკვდრების საშვიდროში.

ირველივ ბნელოდა. მაგრამ ერთბაშად ელექტრონის ხელფანარი შემომანათა ვილაცამ, მერმე უცნაური ღმუილ მომესმა და ხელფანარია გაუჩინარდა. ცხადია, იმ საშინელ ღამეს გამიჩნდა პირველი ჭლარა.

სულ რამდენიმე სექუნდიც და ფარნიანი ლანდი მომეჭრა და ჩემი სახელი და მამის სახელი გაეგონე.

მე შევეშვითიდი, ჩემი წვეტიანი მუჯრა მოვიმარჯვე და ვიყვირე: „ჰეი ვინა ხარ?“.

„ეს მე ვარ ვანია“. მომასხა ლანდმა და დაუნდობლად მომეჭრა.

— შენ რას აკეთებ აქ, ეშმაკის კარძო?

— ჰი, ჰი, ხითხითებდა ვანია, — მე აქ ჩამოვდივარ ამ დროს, ოქროს კბილებს ვაძრობ ვაჭრებს, გუბერნა-

ტორებსა და ეპისკოპოსებს. ახლაც ერთ მსუქან ეპისკოპოსს ვაძრობდი კბილებს, მაგრამ მავ ჩამეღვებულს უმეტესად ვერცხლისანი ჰქონია. ბედი არ ვეძებდი.

მე შემზარა ამის გაგონებამ.

— ჰო მაგრამ შე ეშმაკის კერძო, აკი მუდამ მარწმუნები ქრისტიანი ვარო?

— ეჰ, მე დიხახც ქრისტიანი ვარ, მაგრამ ის ეპისკოპოსები და გენერლები ქრისტიანები როდი იყვნენ.

— ეგეც რომ არა, მე აქ პატიმრობაში ვარ და მოხსუცმა დედამ რა სკამოს ვიტეტესკი? მე ამ ოქროსა და ვერცხლის კბილებს გავატან ხოლმე ვანთავისუფლებულ ჯიბიკრებს, ჩემს მეგობრებს, ისინი ნაწილს თავთა ჩაიჯიბავენ, ხოლო დანარჩენს დედაჩემს უგზავნიან ვიტეტესკი.

მე იმ ღამეს დაერწმუნდი: არც შექსპირს, არც ედვარდ პოს, არც ბალზაკს, არც დისტოვესკის ადამიანური არამ ზადობის ამბავი სრულად არა სცილნიათ.

ვანის ფანარი გამოვართვი და ჰომა საშინელებაც, მიცვალებულები ჰერეხებივით ეყარნენ ირველივ. ზოგი პირალმა, ზოგი თავდაღმა, ზოგი აყირავებული, ზოგიც დათხილი. არავითარი სუნი არ მცემდა, რადგან ცხედრები გაყინულები იყვნენ, როგორც გრანდიოზულ მაცვაარში შელაგებული თევზები.

მე ხელი ვიდეე გაკილვაზე, ვინან მხოლოდ, მ. ი. კალონინს რომ დახვებულ წერილობით ამ არამზადს შეწყყალედე და ეთხოვრტის გადავიჩინე.

„აბა ვანია“, ეუბნები, „ახლა როგორმე აძვერი და ციხემონასტრისაკენ მომავალი ექვილოვი მოსტებნე, თოკი იშოვნოს სადმე და ამოიყვანოს!.

ვანია მარწმუნებდა მე თავთა ავიყვანო, მაგრამ ვერ კენდეე მის დაკონკილ თოკს.

ბარე ორი საათი ვიყავი ამ კოლოსალურ სამარგში. აღიკპიერი დანტეს ჯოჯოხეთი ამ შემზარავ პანორამასთან შედარებით იდილიად მოგეჩვენებოდათ.


ბოლის ზევიდან მომესმა რაჰიმის ყვირილი. რაჰიმმა, პონიატოვსკიმ და ვანამა უშეულებელი, სანავო ბაგირი ჩამოიშვეს და მაჯავანით ამომიყვანეს იმ ჯოჯოხეთიდან.

### IV

მოხდა სასწაული და საკსებით მოულოდნელად ლაგერიდან გამათავისუფლეს. სამი წელი ვიდედა. 1932 წ. ვაზაფხული იყო. მე წერა აკრძალული მქონდა. თარგმანს მიეკავ ხელი. ერთ დღეს რუსთავის პროსპექტზე, ვილაე ჭყაბუტიანი ეყავაკი დამეძგერა და ვადამკონა.

რაჰიმ ექვილოვი!

როგორ? საიდან?



“მე ვოლგას კანლის მშენებლობაზე თავი ვისახელებ და მიწუს ექვსი მომცეს. რუკასთან მიმაყენეს და მიზრძანეს: აირჩიე რომელიც გინდა იმ რესპუბლიკის სატახტო ქალაქი, ბაქოს გარდა. მე ვავებდე და ტფილისი ავირჩიე შენის იმედით.”

„კარგი და პატიოსანი“ მიუხედავად თანაკუნებებში მელიმბობდა, მე თავით არ ვიცი საით გავქცეულიყავ და ეს კაცი ჩემს იმედით ჩამოსულა? სხვა გზა არ იყო, ავდექი და დანტეს კომედის პირველი წიგნის თარგმანი ვაუზგავნე „ჩეკას“ იმჟამინდელ თავმჯდომარეს ლორთქიფანიძეს და ვთხოვე მე და მოქალაქე რაჰიმ ექვილოვი მიველეო.

მეორე დღესვე გამომეცხადა ჩეკას კომენდანტი და მათუწყა: „დღეს ჩილის პირველ სათბოე ვიცინდო ამხანაგი ლორთქიფანიძე, „ჩეკას“ თავმჯდომარე.“

ლორთქიფანიძე დაგვხვდა მთელი თავისი ამალით. სახეზე ემჩნეოდა: მას ძლიერ უყვირდა ჩემი წვევა.

მე ყოველივე წვრილად მოვახსენე ჩემი მეგობრის, რაჰიმ ექვილოვის და მისი სათხოვარის გამო. ესე იგი მას ვამტყე რომ ხსენებული პირი სთხოვდა მას ტფილისში ცხოვრების უფლებას, სამუშაოსა და ერთ ოთახს.

„ჰო მაგრამ,“ მითხრა ლორთქიფანიძემ, ამ კაცის თავდღები ვინ იქნება?“

„მე“ — მიუხედავად „ჰო მაგრამ, თქვენი თავდღები ვინდა იქნება?“ „ჩემი რაინდული სიტყვა“.

მან შენიშნა მე რომ შეეწუხდი და ლიმილით თქვა: „კარგი მე ვინდობი თქვენს კეთილშობილებას, იმედია არ დამალატებთ“.

მესამე დღეს რაჰიმი ჩეკაში დაიხარა საიდუმლო განყოფილების გამგემ და ასეთი რამ უთხრა:

„თქვენ რად აკიდებხართ ამ ქართველ ნაციონალისტს გამსახურდიას? გარდა ამისა, მე მაყვირებეს, მას დიდი ბინა აქვს ჯაფარიძის ქუჩაზე და ნუ თუ არ შეუძლია ერთი ოთახი მოგცეთ?“

რაჰიმი აიღწერა თურმე და ასეთი პასუხი მისცა: „ერთი რომ ბატონი გამსახურდია არავითარი „ნაციონალისტი“ არ ვახლავთ. რაც შეეხება მის ბინას, ბატონ კონსტანტინეს დიდი ბინა ჰქონია დაბატონებამდის და ბოლოს ჩამოურთმევიათ: ერთი ოთახის გარდა, ბარე საბი.“

„კარგი, კარგი, ჩვენ მოგცემთ ერთ ოთახსა და სამუშაოს. ოღონდ იცოდეთ, თუ გაქცევა დააპირეთ, თქვენ და გამსახურდიას ორივეს დაგხვრეტთ“.

მე მოლაღატე არ ვახლავართ და დარწმუნებულნი ვბრძანდებოდეთ, ბატონი კონსტანტინესთვის მე სამი სიციცხლე რომ მქონდეს, სამივეს მას ვანაცვლებდი“.

მიუფო თურმე რაჰიმმა და ამ ჩეკისტის სახეზე ვაოცება ამოიკითხა.

მერმე დაიწყო დაუფიქარი დღეები ამ ჩეკისტებთან რუკე ცხოვრებაში. მე იმჟამად ხელმოკლედ ვცხოვრობდი. ჟამიდან ჟამზე სანადიროდ მივდიოდი კოლხეთსა და ლავრდესში, კურდღლებს, ხობებს, მშველებს ვზოცავდი, შინ მომქონდა.

ჩემი საყოფი, მირანდა და რაჰიმი დაამზადდნენ ნანადირევს, ჩემი ძმა ალექსანდრე ლეინოს მიგზავნიდა (37 წელს, ისიც დაბერიტეს). ვლხინობდით, დროს ვატარებდით.

მირანდა თავით არ ეკარებოდა ნანადირევს. ერთ საღამოს შემევედრა: თუ ჩემი პატივისცემა გექნებათ, ამერიანდ შევლს ნულარ მოვლავთ, ასე იფულისხმეთ თითქოს მე მესროდეთო ტყვიისო.

მე დღეიდან მე შევლზე ნადირობა აღვცევიო.

რაჰიმისათვის ზრუნვა არ დამიკლია. განათლების სამინისტროში მე მაშინაც პატივსა მცემდნენ, ვადაწყდა მომავალი სიმეტრიდან რაჰიმი მოგვეწყო აზერბაიჯანული ენის ლექტორად.

ხოლო მანამდის, რაჰიმს ლავრდეშივე შეუთვსებია დურგლობა და იგი ტფილისელ ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ერთ-ერთი სადურგლო სახელოსნოს გამგედ დაენიშნათ.

ერთ დღეს რაჰიმი მოვიდა ჩემთან და მთხოვა წაგყოლიოდი შეითან ბაზრისკენ და ძველ ტფილისურად გვეუქიფნა.

მე წაყვივი და როცა პურობა მოთავდა, მან ასეთი რამ მითხრა: „კონსტანტინე ბატონო, მოდი ვაეცქეთ ოსმალეთს, მე თურქული კარგად ვიცი, ხულოს რაიონიდან ვავიპაროთ და მერმე... მერმე სტამბოლში ვაზეთი ვამოვცეთ ბოლშევიკების წინააღმდეგ“.

მე მიუხედავად: „იცი რაჰიმი, ერთი რომ მე ყოველივე გაქცევის წინააღმდეგი ვარ, მართალია, მე დევნილი ვარ ჩემს სამშობლოში, მაგრამ ჩემს ქვეყანას ვერ მივატოვებ. ეგეტ რომ არ იყოს, მე და თქვენ ხომ იღუფი მტრები ვართ, ჩვენი მეგობრობის მოუხდავად, არ ვაზეთი უნდა ვამოვცეთ ისეთი, რომ ჩვენ ეს მტრობა ვაგაუქმოთ?“

რაჰიმი დადუმდა. რესტორანიდან გასვლისას მან თაყვისი დაკონკილი მანეთიანები ამოიღო ანგარიშის გასასწორებლად. მე ვაუფქალიანდი, თავით მინდოდა ვადაძეხადა მაგრამ არ დამანება.

ვავიდა ორიოდ კვირაც და რაჰიმმა ბარათი მომწერა. სავსებით ვარკვეულად მათუწყებდა:

„მე შენი რაინდული თავადდების დარდი მაქვს, თორემ ამ ჩემს ქალარა თავს სისხლით შევიღებავდი. არც ლექტორობა მინდა და არც სიცოცხლე. მაპატიე რომ გაწუხებ“.

ერთი თვის შემდეგ. მე მეორეჯერ გამომბრიტეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან და ჰოვა საოცრებამ,

სომხეთის მწერალთა კავშირმა მთხოვა მთელი თვით გვესტუმრო.

მე შევკრთი: ალბათ, მათ არ იციან ჩემი ძნელბედობის ამბავი, ყოველივე წერილად მივსწერე ჩემს ძველ მეგობარს, დერენიკ დემირკიანს. მან დაუყურებლივ მიასახსა: ჩვენ ყველაფერი კარგად ეწეწით, დაუყურებლივ ჩამობრძანდითო.

მერმე ის იყო მთელი თვე გვაეატარე სომხეთში, ვმოგზაურობდი მეგობრებთან ერთად. ვათვალიერებდი ქვეყანას.

შინ ჩამოსულ ჩემი ოსი მოსამსახურე სონა მეტუნება: „ი თათარი ყოველ მეორე დღეს მოდიოდა, გუშუნანაც იყო, რაღაც წერილი დაჯღაბნა“. — „მერმე სადაა ის წერილი სონა?“

„ე მანდ ნოხის ქვეშ დასდო. ძლიერ დაღონებული იყო ბედშავი“. კარებთან დაგებული ნოხი ავიღე და რაჰამ ვეჭოლოვის ბარათი ვიპოვე. „შენს რაინდულ კეთილშობილებას ვერ ვუღალატე და ამიტომაც მტკვარში გადავარდნა ვარჩიე. მშვიდობით, საუკუნოდ მშვიდობით. შენი უერთგულესი ძმა რაჰამ ვეჭიოვი“.

მეჩვიდმეტე რაიმილიციის უფროსმა მაუწყა: სამი დღის წინათ დავიწყეთ იმ უბედური კაცის ცხედრის ძეხვა. ჩემი მილიციელი შესწრებია თუ როგორ გაიხიდა მან მადათოეთან ტანისამოსი და მტკვარში გადაეშვა. მილიციელს აგრე გოვნა: საბანაოდ ჩავიდა მდინარეში. ბოლოს მე მაუწყა ეს ყოველივე. მე ყოველივე ზომა მივიღე მაგრამ ცხედარი ვერ ვიპოვეთ. აჰა, იმ თათრის კეპი და ტანსაცმელი. მის ჯებეში ვიპოვეთ პასპორტი. ბინის პატრონმა აუწყა ჩემს თანამშრომელს: გამსხურდაის მეგობრობდაო. კაცი გამოვეზავენე თქვენთან, თქვენ ერევანში წასული აღმოჩნდითო. მე შევიტანი იმ უბედური რაჰამის კეპი და სელაპის ჯუბა. აგრე დამთავრდა მტრების მეგობრობა.

**ოქროს საწმისის რედაქციისხავან.**

როგორც ტერორის ეპოქის ისტორიკოსები აღნიშნავენ, მიუხედავად მასიური და საყოველთაო რეპრესიებისა, ხელისუფლება მაინც უფრთხილდებოდა დიდი ტალანტის მქონე პიროვნებებს (ალბათ პრამატული მოსახრებით). ცნობილია, მაგალითად, რომ პასტერნაკს 1937 წელს შესთავაზეს ხელის მოწერა გენერლების დახვრეტის გამო შედგენილ ქაღალდზე, რაზედაც მან მტკიცე უარი განაცხადა და დიდხანს ელოდა დაპატიმრებას, მაგრამ გადაარჩა. ასევე გადაარჩა მ. ბულგაკოვი, ა. ახმატოვა და სხვანი. ასეთ პიროვნებებს საბოდნენ მხოლოდ სტალინის პიროვნული შეურაცხყოფისათვის (მაგ. მანდელშტამი), ან რეალური პოლიტიკური დანაშაულისათვის. რამდენადაც კონსტანტინე გამსახურდია ყოველგვარი პოლიტიკური დანაშაულის გარეშე იყო გადასახლებული სოლოკვაში, (მხოლოდ და მხოლოდ შეხედულებებისათვის), დვილად გასაგებია, რომ იგი არ გაწირეს სასიკვდილოდ. მისი პოიცილეგირებული მდგომარეობაც ამით ახსნება, მით უმეტეს, რომ სოლოკვაში ოცდაათიან წლებამდე არ იყო საყოველთაო წესრიგი. საქართველოში ამ გვარად გადაჩრჩენ ივნენ ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე და სხვანი.

**ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს დ ი**

1 ავგისტოდან 31 ნოემბრამდე.

|                          |        |        |         |
|--------------------------|--------|--------|---------|
| დიმიტრი გუნია (ა. შ. შ.) | — 10   | დოლარი | — 43,70 |
| გიორგი ნაკაშიძე          | 30     | დოლ.   | 135,41  |
| სიმონ კეკელიძე           | 200,00 |        |         |
| დავით თორაძე             | 300,00 |        |         |
| კარლო ინასარიძე          | 100,00 |        |         |
| დიმიტრი დათიაშვილი       | 20,00  |        |         |
| მათეო ვევეჭკორი-ხტურუასი | 60,00  |        |         |
| ჟორჟ გაიძე               | 100,00 |        |         |
| სტანისლავ მამულაშვილი    | 50,00  |        |         |
| იონა გუნია               | 10,00  |        |         |
| ექიმი გიორგი ვეფხვაძე    | 500,00 |        |         |
| „ ილია მაღლაკელიძე       | 100,00 |        |         |
| ვ. ხვან ა. შ. შ.         | 20     | დოლარი | 97,60   |
| შოთა სმიტი               | 40     | დოლ.   | 194,08  |
| ქრისტეფორე იმანიშვილი    | 50,00  |        |         |
| ილია ხალუქვაძე           | 50,00  |        |         |
| ერმალოზ ყავრელიშვილი     | 100,00 |        |         |
| მიშა ხუნდაძე             | 50,00  |        |         |
| თამარ ლაღიძისა           | 50,00  |        |         |

|                                            |    |                               |                 |
|--------------------------------------------|----|-------------------------------|-----------------|
| კოლია გელაშვილი                            |    | 100,00                        |                 |
| კარლო გვარჯალაძე                           | 10 | დოლ.                          | 35,42           |
| შარლი ცინცაძე                              |    |                               | 98,77           |
| ვიტალი უგრეხელიძე                          | 2  | გირ.                          | სტერლინგი 15,60 |
| ნამეტა გოგუასისა; გრიშა ლჩაძის ხსენისათვის |    |                               | —250,00         |
| კირა კობიაშვილისა                          |    |                               | 100,00          |
| გიორგი ჯაყელი                              |    |                               | 148,15          |
| ანტუან კომპანიონი                          |    |                               | 100,00          |
| გრიგოლ წერეთელი                            |    |                               | 50,00           |
| ელენე მაგალობლიშვილისა                     |    |                               | 50,00           |
| ინ. გოგიშვილი                              | 10 | კანად.                        | დოლარი 35,72    |
| გივი გაბლიანი                              | 25 | დოლ.                          | 110,15          |
|                                            |    | სულ შემოსული                  | 3.300,60        |
|                                            |    | მ. ტ.-ის №13 ანგარიშის ნაშთი: | 1.659,33        |
|                                            |    | ჯამი —                        | 4.959,93        |
| მ. ტ.-ის № 13 ხარჯები: სტამბის 1.467,73    |    |                               |                 |
|                                            |    | ფოსტის 303,23                 |                 |
|                                            |    | კონვერტები 50,45              |                 |
|                                            |    | ბეჭდები 45,00                 |                 |
|                                            |    | სულ 1.866,41; —               | 1.866,41        |
|                                            |    | ნაშთი                         | 3.093,52        |